ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 1 დეკემბერი, 2017 №285 (7520) ფასი: 50 თეთრი

ლუბლიანას ქუჩაზე 56 წლის მამაკაცმა პატრულს ესროლა, შემდეგ კი ყოფილი ცოლი დაჭრა

გვ.2

30 ნოემბრიდან

ჯემალ ჩახავა

ქურდები და არიფები

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

რევაზ არველაძე მთავრობის წინაალმდეგ — ენერგეტიკის სამინისტროს გაუქმება არ შეიძლება!

გვ.5

„ყველაფერი შეიძლება ახმედ ჩატაევს დააბრალო, მაგრამ რუსეთის აგენტობა?!“

მექა ხანგოშვილი: „მე და ადამ გუმაშვილი ახლო ნათესავები ვართ, წარმოუდგენელია, მან საქართველოს რამე დაუშავოს“

გვ.3

გვ.2

„სააკაშვილის დაპატიმრება გადაწყვეტილია“

ტრისტან წითელაშვილი: „საქართველოს ხელისუფლებამ კიევისგან პირობა მიიღო, რომ ყოფილი პრეზიდენტის ექსტრადირება არ მოხდება“

„ნინო ლომჯარიას სახალხო დამცველის ოფისში არ შევუშვებთ“



გვ.4

უჩა ნანუაშვილი ქართული მარშის წევრებს გაექცა

მიტროპოლიტი გრიგოლი მოსაყდრეს აღიარებს, თუმცა პატრიარქთან კითხვები აქვს

გვ.4

გია გვაზავა: „აფხაზეთს განსაკუთრებული სტატუსი უნდა ჰქონდეს“

გვ.5

სამართალი

გვ.7

პატიმარ დანტე რეხვიაშვილის ცემის გამო №8 საპყრობილის რეჟიმის ყოფილი ინსპექტორი კახა ყალიჩავა დააკავეს

გიორგი პერტაია პოლიციელებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს

16 წელი ციხე მეუღლისთვის 16 ჭრილობის მიყენების გამო

ეკონომიკა

გვ.6

დოლარი ნოემბერს მინუსში ამთავრებს

საქართველოში მარიხუანას მოხმარება დეკრიმინალიზებულია

2018 წელს დაგროვებითი საპენსიო სისტემა ამოქმედდება

ISSN 1987-9385

2 ნინო ლომჯარია — სახალხო დამცველი 96 დეპუტატის მხარდაჭერით

4 პირებს მარიხუანას მოხმარებისთვის დაკისრებული ნასამართლეობა მოეხსნებათ

3 გიორგი ფანცულაიას ემუქრებიან

5 გორის მერს 3 მოადგილე, 3 მრჩეველი, 3 თანაშემწე და 3 კონსულტანტი ეყოლება

„სააკაშვილის დაპატიმრება გადაწყვეტილია“

ტრისტან წითელაშვილი: „საქართველოს ხელისუფლებამ კიევისგან პირობა მიიღო, რომ ყოფილი პრეზიდენტის ექსტრადირება არ მოხდება“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე კვირის წინ დააანონსა, რომ 3 დეკემბერს პეტრო პოროშენკოს სახალხო იმპიჩმენტის პროცედურას დაიწყებს, ამ დღეებში კი მომხრეებს მისი შესაძლო დაკავების შესახებ ამცნო.

მიხეილ სააკაშვილი მხარდამჭერებს მოუწოდებს, მისი დაკავების შემთხვევაში სამთავრობო შენობების ბლოკირება დაიწყონ. ის დარწმუნებულია, რომ უკრაინის პრემიერი საქართველოში სწორედ მასზე სასაუბროდ ჩავიდა.

უკრაინის პრემიერი საქართველოში რომ სააკაშვილზე სასაუბროდ იყო ჩამოსული, ამას ყოფილი პოლიტპატიმარი ტრისტან წითელაშვილიც ადასტურებს. მისი თქმით, თბილისმა კიევისგან მოითხოვა, რომ დაპატიმრების შემდეგ ნაპრეზიდენტალის საქართველოში ექსტრადირება არ მოხდება.

რა გარანტიები მიიღო თბილისმა კიევისგან, დარჩა თუ არა უკრაინაში სააკაშვილს მხარდამჭერები, რა მუხლებით აღიძრება მის წინააღმდეგ საქმე, რის გარკვევას ცდილობენ უკრაინელი სამართალდამცავები? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ტრისტან წითელაშვილი ესაუბრება.

ტრისტან წითელაშვილი:

– სააკაშვილის წინააღმდეგ რომ სისხლის სამართლის საქმე აღიძრებოდა, ამაზე ჯერ კიდევ მაშინ ვლაპარაკობდი, როცა ის ოდესის გუბერნატორი იყო. ბევრს ეს სასაცილოდ ეჩვენებოდა. ახლა სიტუაცია სულ სხვანაირად არის და მის წინააღმდეგ მასალების შეგროვება მიმდინარეობს. ახლო მომავალში მას გისოსებს მიღმა ვიხილავთ.

ამას სააკაშვილიც გრძნობს და ისტერიულ განცხადებებს აკეთებს. პიარის დიდი სპეციალისტია და უნდა, თავი მოწამედ წარმოაჩინოს. ეს აღარ გამოუვა, უკრაინაში უკვე კარგად იციან, რას წარმოადგენს ის სინამდვილეში.

– ყველაფრის მიუხედავად, მას მაინც ჰყავს მომხრეები. სააკაშვილმა მათ მოუწოდა, ჩემი დაკავების შემთხვევაში სამთავრობო შენობების ბლოკირება მოახდინეთო.

– მას მომხრეები მართლაც ჰყავს, მაგრამ მათი რიცხვი შთამბეჭდავი არ არის. უკრაინის ხელისუფლება ასეთი კორუმპირებული რომ არ იყოს, მიშას ამდენი მხარდამჭერიც არ ეყოლებოდა.

– მიშას დაპატიმრების შემთხვევაში ეს ხალხი გამოვა ქუჩაში?

– საზოგადოების ნაწილი გამოვა. რამდენად შეძლებენ ისინი სამთავრობო შენობების ბლოკირებას, არ ვიცი. მინდა იცოდეთ, რომ თუ ხალხი გამოვიდა, ეს იქნება არა სააკაშვილისთვის მხარის დაჭერა, არამედ ხელისუფლების ქმედებების გაპროტესტება.

– პოლიტიკურ ძალებზე რას იტყვით? სააკაშვილი რამდენიმე პარტიასთან თანამშრომლობს.

– მათთან თანამშრომლობდა. ახლა მათ შორის უთანხმოებაა და მას ძალიან ცოტა უჭერს მხარს. ყველა მიხვდა, რომ ეს კაცი არის მატყუარა. ამაში წინა კვირას, უკრაინაში ყოფნის დროსაც დავრწმუნდი.

– უკრაინაში გამგზავრების წინ თქვენ „ახალ თაობასთან“ განაცხადეთ, რომ იქ ჩვენების მიცემასაც აპირებდით. მოხდა თქვენი გამოკითხვა სამართალდამცავების მიერ?

– მე შევხვდი იქაურ სამართალდამცავებს და მათ ბევრი საინტერესო მასალა გადავეცი. სააკაშვილთან დაკავშირებით უამრავი მასალა მაქვს. უკრაინელი სამართალდამცავები რამდენიმე მიმართულებით არიან დაინტერესებული.

სერიოზულად მიდის იმ პერიოდის შესწავლა, როდესაც ის ოდესის ოლქის გუბერნატორი იყო. იქ მას ფონდი ჰქონდა შექმნილი, სადაც დიდი რაოდენობით ფული იყო თავმოყრილი. ეს თანხები დაჭრილი მებრძოლების რეაბილიტაციას უნდა მოხმარებოდა. სინამდვილეში კი ის ფული სააკაშვილს და მის გარემოცვას ხმარდებოდა.

უკრაინელი სამართალდამცავებისგან ვიცი, რომ ამ ფულით ჩაჰყავდა სააკაშვილს უკრაინაში საყვარლები.

თანხების მითვისების გარდა, ბიზნესმენებისთვის ფულის გამოძალვა იკვეთება. ამისთვისაც აგებინებენ მას პასუხს. უკრაინის პროკურატურას სერიოზული მასალები აქვს. მიშა თავს ვეღარ დაიძვრენს.

– სააკაშვილმა თქვა, რომ ხელისუფლება მის დაკავებას სახელმწიფო გადატრიალების მომზადების ბრალდებით აპირებს. ამაზე თუ იყო საუბარი უკრაინაში თქვენი ვიზიტისას?

– ამაზეც იყო საუბარი. უკრაინელები უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ მიშა ციხეში წავა. მას უკრაინაში იმდენი უკანონობა აქვს ჩადენილი, შესაძლოა, საქართველოს ის არც კი გადმოსცენ.

საქართველოს ხელისუფლებას მისი ექსტრადირების სურვილი არ აქვს. მათ უკვე მიიღეს იმის გარანტიები, რომ, დაპატიმრების შემთხვევაში, მიშა უკრაინაში დარჩება.

– ვისგან მიიღეს ეს გარანტიები?

– უკრაინის პრემიერისგან, რომელიც რამდენიმე დღის წინ იმყოფებოდა საქართველოში.

– უკრაინულმა მხარემ განაცხადა, რომ მათი საუბრის საგანი სააკაშვილი არ ყოფილა.

– ბუნებრივია, ამას იტყოდნენ. იმის აღიარება არც თბილისს უნდა და არც კიევს, რომ სააკაშვილი ორივეს თავის ტკივილია. ჩვენს ხელისუფლებას განსაკუთრებულად ეშინია მიშას ექსტრადირების. მათთვის ციხეში მყოფი მიშაც საშიშია.

– უკრაინის ხელისუფლებისთვის არ არის ციხეში მყოფი მიშა საშიში?

– უკრაინა დიდი ქვეყანაა და მას ბევრი მომხრე არ ჰყავს. თან როცა მისი შავბნელი საქმეები გამომზეურდება, არა მგონია, ვინმეს მისი მხარდაჭერა მოუნდეს.

სააკაშვილის დაკავება გადაწყვეტილია და როცა ეს ინტერვიუ გამოვა, ის შეიძლება უკვე დაკავებულიც იყოს. მიშას ბედი მართლა არ მაღელვებს, უკრაინაში მყოფი ქართველი სამხედროების გამო კი ძალიან შეწუხებული ვარ.

– მათაც დაპატიმრება ემუქრებათ?

– ყველას არა, მაგრამ ნაწილს სერიოზული პრობლემა შეექმნება. ეს ბიჭები იქ იმ მიზნით ჩავიდნენ, რომ საქართველოს მტერთან – რუსეთთან იბრძოლებდნენ. სააკაშვილმა ის ბიჭები ბევრ უკანონობაში გახვია. ჩემი აზრით, მას ამ ბიჭების გამოც უნდა მოეკითხოს.

– საქართველოს ხელისუფლება არაფერს აკეთებს, რომ მათი უფლებები დაიცვას?

– სამწუხაროდ, ჩვენს ხელისუფლებას მხოლოდ საკუთარი თავი აინტერესებს. მთავარია, თავად იყვნენ კარგად და დანარჩენების ბედი არ ანაღვლებთ.

ნინო ლომჯარია – სახალხო დამცველი 96 დეპუტატის მხარდაჭერით

– ძალიან ემოციური მომენტია ჩემთვის, იმიტომ, რომ ალბათ, არ არსებობს იმაზე დიდი პატივი ადამიანის უფლებათა დამცველისთვის, რომ იყოს საქართველოს სახალხო დამცველი, – ამის შესახებ სახალხო დამცველის პოსტზე არჩეულმა ნინო ლომჯარიამ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, ეს არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, რადგან იგრძნო სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა. ამასთან, მან მადლობა გადაუხადა მმართველ გუნდს და სხვა პოლიტიკურ ძალებს მისთვის ნდობის გამოცხადებისთვის.

– ამხელა მხარდაჭერის მაჩვენებელი ჩემთვის, სიმართლე გითხრათ, მოულოდნელი იყო კრიტიკული შეფასებები ფონზე. მე მზად ვარ, რომ ყველა ადამიანთან, ვისაც კითხვები ჰქონდა, ვითანამშრომლო, მოვუსმინო მათ პრეტენზიებს და ვუპასუხო. მე შევუდგები საქმიანობას მას შემდეგ, რაც მოქმედ სახალხო დამცველს ამოეწურება უფლებამოსილების ვადა. პირველი რაც იქნება, გავეცნობი არსებულ ვითარებას აპარატში. მოვუწოდებ ყველას, იყვნენ მაქსიმალურ კონტაქტზე სახალხო დამცველთან. მე ვიქნები ძალიან გახსნილი მათთან. ძირეული ცვლილებები იქნება თუ არა, ამაზე მას შემდგე ვისაუბრებ, რაც მივალ აპარატში და გავეცნობი მდგომარეობას. ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ პროფესიონალიზმი იყოს წინა პლანზე, – განაცხადა ლომჯარიამ.

* * *

ომბუდსმენის თანამდებობა 5-წლის ვადით ნინო ლომჯარიამ დაიკავა, რომელიც პარლამენტს უმრავლესობაში შემავალმა ფრაქციებმა შესთავაზეს. ლომჯარიას არჩევა 96 ხმით, 5-ის წინააღმდეგ მოხდა.

სახალხო დამცველის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა პარლამენტს ფრაქციამ „საქართველოს პატრიოტები“ შესთავაზა. მათი მხრიდან წარდგენილ გიორგი ფოფხაძეს 20-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. ფოფხაძის კანდიდატურის წინააღმდეგ 27-მა დეპუტატმა მისცა ხმა.

„სააკაშვილს ციხეში არ ვიხილავთ, ის არის სხვა მასშტაბის ფიგურა, რომლისაც ეშინია ივანიშვილს“

– არ მივცემთ საშუალებას, რომ ეს ადამიანი ციხემდე მივიდეს, – ეს განცხადება ენმ-ს ერთ-ერთმა ლიდერმა ხატია დეკანოიძემ „ტვ პირველის“ ეთერში, ნინო ჟიჟილაშვილის „დღის ამბებში“ გააკეთა.

დეკანოიძის თქმით, მიხეილ სააკაშვილი სხვა მასშტაბის ფიგურაა, რომლისაც ბიძინა ივანიშვილს ეშინია. მისივე თქმით, თუ სააკაშვილი საქართველოს ტერიტორიაზე იქნება, ის დარწმუნებულია, რომ „მას ციხეში არ ვიხილავთ“.

ლუბლიანას ქუჩაზე 56 წლის მამაკაცმა პატრულს ესროლა, შემდეგ კი ყოფილი ცოლი დაჭრა

გუშინ, 30 ნოემბერს, საღამოს ლუბლიანას ქუჩაზე სროლა ატყდა.

სროლის შედეგად 2 ადამიანია დაჭრილი.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი შემთხვევის ადგილიდან იტყობინება.

როგორც ადგილზე ჟურნალისტებს შსს-ს წარმომადგენელმა განუცხადა, ლუბლიანას №11-ში მამაკაცი იარაღით ემუქრებოდა ქალს, რის გამოც გამოიძახეს პატრული. მამაკაცმა კი პატრულს ცეცხლი გაუხსნა.

შსს-ს პრესსამსახურში განმარტეს, რომ გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შევიდა შეტყობინება, რომ თბილისში, ლუბლიანას ქუჩაზე ოჯახური კონფლიქტი იყო.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიღებულ შეტყობინებაზე მყისიერი რეაგირება მოახდინეს.

წინასწარი ინფორმაციით, მითითებულ მისამართზე შეიარაღებული პირი იმყოფებოდა. შემთხვევის ადგილზე მისვლისას საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ 1961 წელს დაბადებული ბ.ბ. ყოფილ მეუღლეზე – 1961 წელს დაბადებულ ნ.კ.-ზე ძალადობდა.

ბ.ბ.-მ პოლიციელების დანახვისთანავე ცეცხლი გახსნა და მათი მიმართულებით რამდენიმე გასროლა განახორციელა. ამის შემდეგ, ამავე იარაღიდან გასროლით, მან სახის არეში დაჭრა ყოფილი ცოლი.

საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა საპასუხო გასროლა განახორციელა, რის შედეგადაც ბ.ბ.-მ, წინასწარი ინფორმაციით, სხეულის დაზიანება მიიღო. ორივე დაჭრილი დაუყოვნებლივ იქნა საავადმყოფოში გადაყვანილი, – განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში.

მომხდარის გამო ლუბლიანას ქუჩა გადაკეტილი იყო.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მექა ხანგოშვილი: „მე და ადამ გუმაშვილი ახლო ნათესავები ვართ, წარმოუდგენელია, მან საქართველოს რამე დაუშავოს“

„ყველაფერი შეიძლება ახმედ ჩატაევს დააბრალო, მაგრამ რუსეთის აგენტობა?!“

ნათია ხურცილავა

თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ „ახალი თაობა“ პანკისის ხეობის წარმომადგენელ **მექა ხანგოშვილს** ესაუბრა.

– ქალბატონო მექა, თქვენ რა იცით მომხდარი სპეცოპერაციის შესახებ?

– ვიცი ის, რაც საზოგადოებამ და თქვენ იცით, რაც ყველამ ერთად ვნახეთ.

– ახმეტ ჩატაევთან დაკავშირებით მაინტერესებს, რას ამბობს ოჯახი, ადასტურებენ თუ არა, რომ გარდაცვლილი ჩატაევია?

– 100%-ით თქმა და დადასტურება შეუძლებელია, სანამ გამოძიება არ დადებს შედეგებს და არ მოხდება მისი იდენტიფიცირება, მაგრამ უკვე 90% შეიძლება ითქვას, ოჯახის წევრებიც ამბობენ, რომ ეს პირი ახმეტ ჩატაევია. როგორც იცით, ნაპოვნია ამპუტირებული ფეხის პროტეზი, თავის ფორმაც ისეთია, მეც ვეჭვობ, რომ ჩატაევია.

– რამდენად მართალია ინფორმაცია, რომ მეუღლე და ბავშვი სპეცოპერაციიდან ცოტა ხნის წინ გამოვიდნენ იმ ბინიდან?

– მეუღლესთან არ მქონია კონტაქტი და უფრო დაზუსტებით, დამატებით არ მაქვს ინფორმაცია ამ ეტაპზე.

– ჩატაევი პანკისის ხეობაში იყო ჩასული თუ მხოლოდ თბილისში იყო?

– დაზუსტებით არ ვიცი, ვერ გეტყვით, მართალია, მე ვიცნობ ჩატაევის მეუღლეს, თუ მას პრობლემები ჰქონდა საზღვარზე გადასვლის ან სხვა პრობლემა, მიკავშირდებოდა და ვეხმარებოდი, მაგრამ ბოლო ორი წელი ურთიერთობა არ მქონია.

– ისე, იცნობდით ახმედ ჩატაევს?

– კი. თქვენ იცით, რომ ძალიან აქტიურად ვიყავი ჩართული, როდესაც ის დაკავებული იყო. ახლო ურთიერთობა არ მქონია, მაგრამ ვიცნობდი.

– რეალურად რა მოხდა, როგორია თქვენი შეფასებები? პანკისის ხეობის უხუცესები ამბობენ, რომ სამშობლოს წინააღმდეგ პანკისელი იარაღს არ აღმართავს.

– აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ იქ პანკისელი ქისტი, საქართველოს მოქალაქე, არც ერთი არ ყოფილა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. იყო ეჭვი ადამ გუმაშვილზე, მაგრამ არ დადასტურდა ეს ინფორმაცია. 24 ნოემბერს ის კონტაქტზე გამოვიდა ოჯახთან და თქვა, რომ ცოცხალია. სიმართლე გითხრათ, როდესაც იმ ფოტოებს ვუყურებდი, არაფრით არ ვიჯერებდი, არ მგონია, რომ ეს მისი ფოტოებია. მე და ადამ გუმაშვილი ახლო ნათესავები ვართ, ბავშვობა ერთად გვაქვს პანკისის ხეობაში გატარებული, მე მას კარგად ვიცნობ და წარმოუდგენელია, რომ ასე ადამიანი შეიცვალოს. აქ არა მხოლოდ გარეგნობას ვგულისხმობ, ცხადია.

– ადამ გუმაშვილის პოზიცია როგორია ამ ყველაფერზე? მისი ოჯახის წევრები კი ამბობენ, რომ ის არის ისლამური სახელმწიფოს წევრი, მაგრამ ის საქართველოს არაფერს არ დაუშავებს. თქვენ რა იცით, რას ამბობს გუმაშვილი?

– შეუძლებელია, წარმოუდგენელია, რომ მან რამე დაუშავოს თავის სამშობლოს. ის ამათ რიცხვში არ ყოფილა, ეს შეუძლებელია. რაღაც პროვოკაციაა. ის ისეთი მამის შვილია, რომ ასეთი პატრიოტი ალბათ თითზე ჩამოსათვლელია. გამორჩეული ოჯახი აქვს, ხუთი დედმამიშვილიდან ოთხს დოქტორის წოდება აქვს. ადამ გუმაშვილის ბიძას ჩეჩნეთის კონსტიტუცია აქვს დაწერილი.

– ქალბატონო მექა, როგორც ამბობენ, შაჰიდის ქამარია აღმოჩენილი, რომლითაც თითქოს თავი აიფეთქა ჩატაევმა. რაში სჭირდებოდა მას შაჰიდის ქამარი და როგორ აღმოჩნდა ის აქ?

– მართლაც გაოგნებული დავრჩი, ძნელად წარმომედგინა, როდესაც გავიგე, რომ ჩატაევი, საერთაშორისო ტერორისტთა სიაში შეყვანილი ადამიანი, თბილისის ერთ-ერთ ბინაში აღმოჩნდა. როგორ მოხვდნენ ეს ადამიანები თბილისში?! რა გზითაც არ უნდა მოხვედრილიყვნენ, ყველა გზა ჩვენთვის ცუდია, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ვგულისხმობ. შემოიპარა თუ შემოუშვეს, არ აქვს მნიშვნელობა.

ერთი კი მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, თურქეთი, სადაც სულ ახლახან სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო, თურქეთი, რომლის საზღვარზე ჩიტიც კი ვერ გადაფრინდება, რომელსაც უძლიერესი სპეცსამსახურები ჰყავს, ქვეყნის დაცვის უძლიერესი მექანიზმები აქვს, წარმოუდგენელია, რომ ისეთი ადამიანი, როგორიც ახმედ ჩატაევი იყო, მას არ ჰქონდა ცალი ხელი და ცალი ფეხი, ასე მარტივად გადმოსულიყო. გამორიცხულია, რომ მესაზღვრეს ჩატაევი გამოპარვოდა. ჩვენთან კიდევ შეიძლება ეს მომხდარიყო, თურქეთში ეს უბრალოდ გამორიცხულია.

რაც შეეხება ვერსიას, რომ არალეგალურად, რთული ადგილებიდან შემოვიდა, ვფიქრობ, შეძლებდა ფიზიკურად, შეიძლება რთული ადგილებიდანაც შემოეღწია, რადგან ძალიან ძლიერი პიროვნება იყო, ძალიან ძლიერი სული ჰქონდა, მებრძოლი სული. რადგან ის უკვე შემოვიდა საქართველოში, მე ასევე პროცენტით, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ცუდი განზრახვით ის საქართველოში არ შემოვიდოდა.

– რატომ ხართ ასეთი დარწმუნებული?

– გეტყვით, ცუდი განზრახვით რომ შემოსულიყო და ეს განზრახვა მას ჰქონოდა, მაშინ მას არ გაუჭირდებოდა, როდესაც მის ასაყვანად მივიდნენ იმ ბინაში, სადარბაზოში მძევლები აეყვანა, კორპუსი აეფეთქებინა. როდესაც იარაღის მთელ არსენალზეა საუბარი, ვინმემ ნახა ეს არსენალი?! ფოტოები თუ გადაუღეს ახმედ ჩატაევის დანაწევრებულ ცხედარს, როგორ ფიქრობთ, იარაღის არსენალს არ გადაუღებდნენ?! ადამიანი, რომელიც ყოველ წუთს ელოდება სიკვდილს, მით უმეტეს ჩეჩენი, წარმოუდგენელია იარაღის გარეშე. ჩატაევს თავდაცვის იარაღი ყოველთვის ექნებოდა.

– შაჰიდის ქამარი თუ დადასტურდა?

– ამას გამოძიება დაადასტურებს, მაგრამ ალბათ ჰქონდა იმისთვის, რომ ხელში არ ჩავარდნოდა ვინმეს. ჩეჩენს ერთი ტყვია ყოველთვის აქვს დატოვებული, იმიტომ კი არა, რომ მშიშარაა, არამედ იმიტომ, რომ გაექცეს ბევრ უსიამოვნებას, რომელიც შეიძლება მას შეემთხვეს ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში. ყველაფერი შეიძლება ახმედ ჩატაევს დააბრალო, მაგრამ რუსეთის აგენტობა?! ვინც ამას ამბობს, მაპატიეთ, ეს უკვე არაკაცობაა.

– რა იყო მისი მიზანი, რატომ შემოვიდა საქართველოში?

– გამოსაზამთრებლად შემოვიდა. მას სხვა თავშესაფარი არ ჰქონდა. სირიიდან, როდესაც მან ძალიან დიდი მარცხი განიცადა, როგორც ჩანს, ის გააძევეს, ჩამოართვეს ყველაფერი.

– სირიიდან გამოაძევეს?

– მთლად სირიიდან შეიძლება არა, მაგრამ თავისი გუნდიდან გამოაძევეს. ავსტრიაში არ ჩაესვლებოდა, რადგან ახალგაზრდების წაყვანა სირიაში მის სახელს უკავშირდებოდა და ამიტომ ავსტრიაში ვერ წავიდოდა. რუსეთში ვერ წავიდოდა, ვერც თურქეთში ვერ შევიდოდა და სად უნდა წასულიყო? მე მაინც მიკვირს, რომ საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ ალბათ მაინც სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

– აქ უფრო ეიმედებოდა?

– ალბათ, თვითონ კი არის ჩეჩნეთიდან, მაგრამ მეუღლე აქაური ჰყავდა, პანკისელი, დუისელი.

– მეორე ოჯახი, როგორც ვიცი, ავსტრიაში ჰყავს.

– დიახ, პირველი ოჯახი ავსტრიაში ჰყავს.

– ლაფანყურის სპეცოპერაციასა და ისნის სპეცოპერაციას შორის შეიძლება პარალელების გავლება?

– ძალიან განსხვავდება, თუმცა ჩვენთვის ორივე ტრაგიკულად დამთავრდა. წინა ხელისუფლების წარმომადგენლები გამოდიან და ამბობენ, რომ საზღვარგარეთ როგორ ხდება საზოგადოების ინფორმირება ასეთ დროს, ლამის საათში ერთხელ, მაგრამ ის რატომ ავიწყდებათ, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს რა ხდებოდა, როგორ ინფორმაციულ ვაკუუმში გვამყოფეს?! თავიდან ხომ მოგვატყუეს, რომ თურმე ჩრდილო კავკასიიდან ჩეჩენი ბოევიკები გადმოვიდნენ და მათი ლიკვიდაცია მოხდა. ამიტომ, სრულიად განსხვავებული სიტუაციაა. მაშინ ცხედრებით დაიწყეს ვაჭრობა. ჭირისუფლებს ჭიშკრის გაღების უფლება არ ჰქონდათ, სამძიმარს ვერ იღებდნენ.

– ქალბატონო მექა, არის ვერსია, რომ ჩატაევი ხელისუფლებამ შემოიტყუა. რამდენად დამაჯერებელია თქვენთვის ეს ვერსია?

– არ ვიცი, არ ვიცი. ეს ვარაუდებია. ვნახოთ. გამოძიებამ დადოს ფაქტები.

– ელოდებით გამოძიების შედეგებს?

– რთული საქმეა, მე მაინც არ ვფიქრობ, რომ ბოლომდე გაიხსნება. ლაფანყურის საქმეც არ არის ბოლომდე გამოძიებული. თუმცა, მოსახლეობის ინტერესები ალბათ რაღაც დონეზე მაინც დაკმაყოფილდება.

გიორგი ფანცულაიას ემუქრებიან

ადვოკატი გიორგი ფანცულაია ვარაუდობს, რომ მის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტი ციანიდის საქმეს უკავშირდება. მსჯავრდებულ დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატი გიორგი ფანცულაია თბილისის პროკურატურაში გამოკითხვაზე იმყოფებოდა. ფანცულაიამ დღეს სოციალური ქსელის საშუალებით გაავრცელა მუქარის შემცველი შეტყობინება, რომელიც მას მისწერეს.

– გავავრცელე სოციალური ქსელით სტატუსი, სადაც აღბეჭდილი იყო ჩემ მიმართ განხორციელებული მუქარა, რომელიც ჩემს საადვოკატო საქმიანობას ეხება. ტექსტის შინაარსსაც გაეცნობოდით და დიდი ალბათობით უკავშირდებოდა ე.წ. ციანიდის გახმაურებულ საქმეს. იყო პირდაპირი მუქარა, რომ მე „ტვინს დამანთხევინებდნენ თუ ჭკუით არ ვიქნებოდი“. იცოდნენ ჩემი სახლის მისამართი, მომაკითხავდნენ, არ იქნებოდნენ მარტო. ამასთან დაკავშირებით მე დღეს პროკურატურას მივაწოდე ინფორმაცია, გადავეცი მოწერილი ტექსტის შინაარსი, – აცხადებს ფანცულაია.

მისივე თქმით, დაახლოებით 10-12 დღის წინაც შეემთხვა უსიამოვნო ფაქტი. როგორც ადვოკატი აცხადებს, პირველი შემთხვევა უფრო ქმედება იყო, ვიდრე მუქარა, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ის დეტალებზე არ საუბრობს.

– დაახლოებით 10-12 დღის წინ იყო არც ისე სასიამოვნო ფაქტი, რასაც იმდენად არ მივაქციე ყურადღება, რადგან პირველი ფაქტი იყო. მაგრამ ვინაიდან, დღეს ეს ფაქტიც მოხდა, არაა გამორიცხული, ეს ორი ფაქტი ერთობლივად უკავშირდებოდეს ჩემს საადვოკატო საქმიანობას. გამოძიება და პროკურატურა როგორც მეუბნებიან, მზადაა, რომ გამოძიება დაიწყოს. 21-ე საუკუნეში ძალიან მარტივი თუ არა, შეუძლებელიც არაა ამ პირის დადგენა, – განაცხადა ფანცულაიამ.

მისივე თქმით, გამოძიებაც ვარაუდობს, არის იმის ალბათობა, რომ ეს ორივე ფაქტი ერთ კონტექსტში იყოს დასახელებული. ადვოკატის ინფორმაციით, კონკრეტულ პიროვნებებზე თავისი ვარაუდი აქვს, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე დეტალებზე არ საუბრობს.

ჟურნალისტის კითხვაზე შეიძლება თუ არა, რომ მუქარის ავტორი იყოს საპატრიარქოსთან დაახლოებული პირები, ფანცულაია არც უარყოფს და არც ადასტურებს.

წულუკიანი ჩატაევის საქმეზე: „არაფერი არ მაქვს დამატებით სათქმელი“

– მე არ ვთვლიდი, რომ იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომლის გამოც ბატონი ჩატაევი იმ დროს იყო ციხეში, პროკურატურას ბრალი უნდა შეეწყვიტა, მე ვთვლიდი, რომ პროკურატურას ბრალდების მხარდაჭერა უნდა გაეგრძელებინა, – აცხადებს იუსტიციის მინისტრი ახმედ ჩატაევის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. თეა წულუკიანმა „ტვ პირველის“ ეთერში იმ პოზიციაზე ისაუბრა, რომელიც მას 2012 წელს ჰქონდა და ამბობს, რომ დღესაც იგივე პოზიცია აქვს. წულუკიანის თქმით, ის ასევე არ ემხრობოდა ჩატაევის ექსტრადირებას რუსეთში. იუსტიციის მინისტრი ამბობს, რომ პროკურატურამ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო.

ავტომობილების მიერ ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი გაიზარდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახური ქვეყნის მასშტაბით ავტოტრანსპორტის მიერ ატმოსფეროში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები სტატისტიკას აქვეყნებს.

სტატისტიკის თანახმად, რომელიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მონაცემებს ეყრდნობა, 2015 წელს ავტოტრანსპორტის მიერ ატმოსფეროში 93.8 ათასი ტონა ნახშირჟანგი (CO) გაიფრქვა, წინა წელს კი ეს მაჩვენებელი 91.1 ტონა იყო.

იმავე წელს, იგივე მიზეზით ატმოსფეროში 25.8 ათასი ტონა აზოტის დიოქსიდი (NO2) მოხვდა, 2014-ში ეს მაჩვენებელი 23.5 ტონა იყო. რაც შეეხება მყარ ნაწილაკებს, ავტომობილების მიზეზით ატმოსფეროში 1.4 ათასი ტონა PM10 და 1.2 ათასი ტონა PM2.5-სახეობის მყარი ნაწილაკი მოხვდა, რაც წინა წლის იგივე მაჩვენებელს შესაბამისად 0,2 ათასი და 0,1 ათასი ტონით აღემატება. 0.2 ათასი ტონიდან 0.3 ათას ტონამდე გაიზარდა გოგირდის დიოქსიდის მაჩვენებელი, რაც ატმოსფეროში ავტომობილების მიზეზით მოხვდა.

2016 წლის სტატისტიკა ჯერ არ გამოქვეყნებულა.

„ნინო ლომჯარიას სახალხო დამცველის ოფისში არ შევუშვებთ“

უჩა ნანუაშვილი ქართული მარშის წევრებს გაექცა

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 30 ნოემბერს, პარლამენტმა ახალი სახალხო დამცველი აირჩია. ამიერიდან ომბუდსმენის მოვალეობებს ნინო ლომჯარია შეასრულებს.

მის სახალხო დამცველად წარდგენას და არჩევას „ოცნებაში“ სერიოზული უთანხმოება მოჰყვა.

ლომჯარიას კანდიდატურით დიდად არც სხვები აღფრთოვანებულან. ქართული მარში სახალხო დამცველის ოფისის ბლოკირებით იმუქრება, მანამდე კი, ახალ სახალხო დამცველზე გამწარებულები, ძველს მიუხტნენ.

მათი მივარდნა უჩა ნანუაშვილისთვის დიდი სიახლე არ იქნებოდა. მარშს მის წინააღმდეგ აქცია დაანონსებული ჰქონდა. ისინი მომავალ კვირას აპირებდნენ უჩასთან სტუმრობას, მაგრამ ლომჯარიას არჩევამ გეგმები შეუცვალა.

მარშელებმა ერს სახალხო დამცველის ოფისთან შეკრებისკენ 29 ნოემბერს მოუწოდეს. მიუთითეს შეკრების დროც. ნანუაშვილი ფეისბუქთან მწყრალად არ არის და ამის შესახებ მისთვისაც გახდა ცნობილი. მან საგანგებო ზომები მიიღო და მოადგილეებთან ერთად იქედან გაიპარა.

– ქართული მარში, დაახლოებით 500 კაცთან ერთად, დათქმულ დროს მივედით ომბუდსმენის ოფისთან. რამდენიმე ადამიანი შიგნითაც შევედით, მაგრამ ლგბტ-ების და სექტანტების პირადი მცველი ნანუაშვილი გაქცეული დაგვხვდა, – ამბობს ნანუაშვილის გაქცევით შეწუხებული ლადო სადღობელაშვილი.

როგორც სადღობელაშვილმა „ახალ თაობას“ განუცხადა. მათ ნანუაშვილისთვის ერთი-ორი ტკბილი სიტყვა ჰქონდათ სათქმელი.

– ცუდია, რომ მისთვის ჩვენი სათქმელის თქმა ვერ მოვახერხეთ. ის საქართველოს ისტორიაში ყველაზე ცუდი ომბუდსმენი იყო, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მას ამ ტიტულს მალე ჩამოართმევს ლომჯარია, – აცხადებს ქართული მარშის წარმომადგენელი.

მისი თქმით, რაკი ნანუაშვილი გაიქცა, მასთან საქმის დაჭერა აღარ ღირს. ქართული მარში ახლა ლომჯარიასთან აპირებს ბრძოლას.

– რამდენადაც ვიცი, ლომჯარიას გამო „ოცნებაში“ დიდი განხეთქილებაა. ძალიან ბევრი დეპუტატი იძულებული გახდა, არასასურველი კანდიდატისთვის დაეჭირა მხარი. მათ არაერთხელ ვთხოვე, ღიად დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია, მათ ეს ვერ გაბედეს და შედეგად ყველაზე უარესი სახალხო დამცველი მივიღეთ.

„ოცნების“ დეპუტატებისგან განსხვავებით, ქართული მარში თავისი პოზიციების დაფიქსირებას არ ერიდება. მინდა საჯაროდ – ყველას გასაგონად ვთქვა, რომ ნინო ლომჯარიას სახალხო დამცველის ოფისში არ შევუშვებთ, – აღნიშნავს სადღობელაშვილი.

მისი თქმით, ახალი ომბუდსმენი მომავალ კვირას შეეცდება უფლებამოსილების გადაბარებას.

– ამაში ხელს ვერ შევუშლით, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ პირველ სამუშაო დღეს ის ომბუდსმენის ოფისში ვერ შევიდეს, – დებს პირობას მარშელთა ერთ-ერთი ლიდერი.

მას იმედი აქვს, რომ მომდევნო კვირას სახალხო დამცველის ოფისთან გაცილებით მეტი ადამიანი შეიკრიბება.

– ჩვენ ყველას უნდა დავანახოთ, რომ გვჭირდება ჭეშმარიტი სახალხო დამცველი. ჩვენ წინააღმდეგი ვართ, ბიუჯეტიდან ფინანსდებოდეს ლგბტ-ების და სექტანტების დამცველი, ლომჯარია კი მხოლოდ მათ უფლებებს დაიცავს. ამიტომაც უმცირესობებმა დააფინანსონ ეგ ადამიანი. ხალხის ფულით მართლა სახალხო დამცველი უნდა ფინანსდებოდეს, – მიაჩნია სადღობელაშვილს.

ქართული მარშის ერთ-ერთი ლიდერის თქმით, ომბუდსმენის აპარატი კარგა ხანია გადაიქცა სოროსის წიწილების დასაქმების ბიუროდ.

– უკვე მივეჩვიეთ და ლამის ნორმად მივიჩნევთ, რომ ომბუდსმენის ოფისი სოროსის წიწილების და ლეკვების დასაქმების ბუდეა. ისინი სოროსის დავალებით დაუნდობლად ებრძვიან ქართულ ეკლესიას. ჩვენ ამას წერტილი უნდა დავუსვათ, – ამბობს მარშის წარმომადგენელი.

მისი თქმით, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა შეამციროს სახალხო დამცველის აპარატის დაფინანსება.

– ნანუაშვილის არაერთ ანგარიშში მომისმენია, რომ საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობს. შე შეჩვენებულო, თუ ამას ხედავ, რა ნამუსით ჯდები 120.000 ლარიან მანქანაში? ან რა ნამუსით იღებ რამდენიმე ათას ლარს თვეში? ეს თანხა უნდა გადანაწილდეს გაჭირვებულებზე. სახალხო დამცველი ფუფუნებაში არ უნდა ცხოვრობდეს. მით უმეტეს, თუ ის სოროსის გამოჩეკილია, – აცხადებს სადღობელაშვილი.

ამის გარდა, ქართული მარში ხელისუფლებას სთხოვს შეისწავლოს, რამდენად მიზანმიმართულად ხარჯავდა ნანუაშვილი საბიუჯეტო თანხებს.

მიტროპოლიტი გრიგოლი მოსაყდრეს აღიარებს, თუმცა პატრიარქთან კითხვები აქვს

ფოთის და ხობის მიტროპოლიტი ეპარქიის „ფეისბუქის“ გვერდზე განცხადებას აქვეყნებს. როგორც მიტროპოლიტი გრიგოლი წერს, მის მიერ აეროპორტში გაკეთებული განცხადება, რომლითაც ის პატრიარქის მიერ მოსაყდრის დასახელებას ეხებოდა, არასწორად იქნა ინტერპრეტირებული.

მიუხედავად ამისა, მეუფე გრიგოლი განცხადებაში კვლავ აცხადებს, რომ კარგი იქნებოდა, სინოდის წევრებს მოესმინათ გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის შესახებ, რაც საფუძველშივე გაფანტავდა ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ ყოველგვარ ბუნდოვანებას.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი წერს, რომ სასურველია ასეთ გადაწყვეტილებას თან ახლდეს რეგლამენტი, თუ რა უფლებამოსილებით აღიჭურვა მოსაყდრე. მიუხედავად ამისა, მიტროპოლიტი ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ არ აყენებს.

– საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ 2017 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის საღმრთო ლიტურგიის დაწყების წინ, საქართველოს ეკლესიის მრევლს და სრულიად საქართველოს პირადად, საჯაროდ ამცნო, რომ მიიღო გადაწყვეტილება კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის დადგინების შესახებ, რაც სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა როგორც წმიდა სინოდის წევრთათვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვისაც. ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა ამა წლის 25 ნოემბერს, თავის ეთერში გაავრცელა სიუჟეტი, რომელშიც წმინდა სინოდის რამდენიმე წევრის პოზიცია/შეხედულებებია დაფიქსირებული კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. ამ სიუჟეტში არასწორად არის ინტერპრეტირებული ჩემ მიერ გამოთქმული პოზიცია აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ. იმისათვის, რომ საზოგადოების დაინტერესებული ნაწილი სწორად იქნეს ინფორმირებული ჩემი პოზიციის შესახებ, საჭიროდ ჩავთვალე განმარტების გაკეთება ზემოთ მითითებული ინტერვიუს საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით: 1. თავისუფალი იყო თუ არა კათოლიკოს-პატრიარქი ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას? რატომ ჩნდება ეს კითხვა? ამ კითხვას ბადებს აღნიშნული მოვლენის მოულოდნელი ხასიათი! ქართულ სახელმწიფოს, ისევე, როგორც საქართველოს ეკლესიას, მეტისმეტად

რთული გარე და შიდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ფაქტორების პირობებში უწევს ცხოვრება და არსებობა. ამის გათვალისწინებით, კარგი იქნებოდა, რომ სინოდის წევრებს თვით სინოდის სხდომაზე მოესმინათ კათოლიკოს-პატრიარქის გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის შესახებ, რაც საფუძველშივე გაფანტავდა ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ ყოველგვარ ბუნდოვანებას. კათოლიკოს-პატრიარქის გადაწყვეტილების თანმხლები ბუნდოვანება კი უკავშირდება სამართლებრივ-კანონიკური ურთიერთობების საკითხს მოსაყდრესა და მღვდელმთავრებს შორის, რადგან ამ ტიპის გადაწყვეტილებას სასურველია ახლდეს ან უმალ მოჰყვეს რეგლამენტი, თუ დამატებით რა უფლებამოსილებით აღიჭურვა (ან აღიჭურვება სამომავლოდ!) კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე თვით კათოლიკოს-პატრიარქის მმართველობის პირობებში. 2. აქვე მივუთითებთ იმ სამართლებრივ კაზუსთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც ვარაუდი გამოვთქვით. კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსიდან და მისი საჯარო გავრცელების ფორმიდან გამომდინარე, ჩვენთვის ბუნდოვანი და გაურკვეველი დარჩა გადაწყვეტილების განხორციელების პროცედურა, თუმცა ჩვენ ამით თავად გადაწყვეტილების ლეგიტიმაცია ეჭვქვეშ არ დაგვიყენებია. 3. კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მოსაყდრის გამორჩევა-დადგინება არის მისი უფლება და ეს უფლება ჩვენ ეჭვქვეშ არ დაგვიყენებია! 4. ჩვენ მიერ დაფიქსირებული პოზიცია და მიღებული გადაწყვეტილების კომენტარი არ უკავშირდება მოსაყდრის კანდიდატურას, რომელთანაც ძმური ურთიერთობა გვაქვს, ისევე, როგორც წმიდა სინოდის დანარჩენ წევრებთან. შესაბამისად, ვთვლით, რომ კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს ახლა მიღოცვაზე მეტად გონივრული თანადგომა სჭირდება, რისთვისაც ჩვენ ყოველთვის მზად ვიყავით და ვართ კიდევაც, რადგან წმიდა სინოდის ერთობა და მისი სიმტკიცე არის ის, რაც განსაკუთრებით სჭირდება საქართველოს სამოციქულო ეკლესიას და მის წარმატებით მსახურებას ურთულესი გამოწვევებით აღსავსე თანამედროვე სამყაროში. 5. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია მუდამ გამოირჩეოდა ერთსულოვნებითა და ქრისტესმიერი სიყვარულით. ამან კი იგი ისეთ ურთულეს ქარტეხილებს გამოატარა, როგორიც, მაგალითად, ათეიზმის ეპოქა იყო. საქართველოს ეკლესიის მესვეურები ყოველთვის იდგნენ მისი სიმტკიცის სადარაჯოზე, რაც მას კიდევ უფრო აძლიერებდა მართლმადიდებელი მრწამსის, საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვისა და მისიონერული საქმიანობის განხორციელების პროცესში. ჩვენი ზემოთ დაფიქსირებული პოზიციაც სწორედ ამ სულისკვეთებით არის ნასაზრდოები.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი) საპატრიარქოს გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის თავმჯდომარე, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, – წერს მეუფე.

პირებს მარიხუანას მოხმარებისთვის დაკისრებული ნასამართლეობა მოეხსნებათ

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა“ ასოციაციის წარმომადგენლის, გიორგი გოცირიძის განცხადებით, საკონსტიტუციო სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილების შემდეგ, პირებს, რომლებსაც მარიხუანას მოხმარებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა აქვთ დაკისრებული, სანქცია უნდა მოეხსნათ. კერძოდ, როგორც გოცირიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, სააპელაციო სასამართლოსადმი მიმართვის შემდეგ ადამიანს შეუძლია, პირველ რიგში, ნასამართლეობის მოხსნა მოახდინოს, ასევე აღიდგინოს ჩამორთმეული ავტომობილის მართვის უფლება, იარაღის ტარების უფლება, საადვოკატო, საექიმო და სხვა კონკრეტული საქმიანობის წარმოების უფლება და ა.შ.

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის დ ქვეპუნქტში განმარტებულია, რომ თუ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში გამოყენებული კანონი, არის ახლად გამოვლენილი გარემოება, რაც არის გადასინჯვის საფუძველი. ვადაში არ არის ადამიანი შეზღუდული. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მიმართოს განსჯადობის მიხედვით ქუთაისის ან თბილისის სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლო ვალდებულია გააუქმოს შესაბამისი განაჩენი და ამ გზით ადამიანს შეუძლია პირველ რიგში ნასამართლეობის მოხსნა მოახდინოს, ასევე აღიდგინოს ჩამორთმეული ავტომობილის მართვის უფლება, იარაღის ტარების უფლება, საადვოკატო, საექიმო და სხვა კონკრეტული საქმიანობის წარმოების უფლება და ა.შ., – განაცხადა გოცირიძემ.

მისივე თქმით, „მარიხუანის მოხმარებისთვის პატიმრობაში ამ მუხლით წესით არავინ უნდა იმყოფებოდეს, იმიტომ, რომ ბექა წიქარიშვილის საქმიდან გამომდინარე, პატიმრობის გამოყენება იყო დაუშვებელი მარიხუანას მოხმარებისთვის“.

– ამ საქმის შემდეგ, შესაძლებელი გახდა სხვა სანქცია ყოფილიყო გამოყენებული გარდა პატიმრობისა, რადგან პატიმრობა ამ ქმედებისთვის იყო არაჰუმანური სასჯელი. თუმცა, შესაძლებელი იყო სხვა ტიპის სასჯელის გამოყენება, მაგალითად, ჯარიმა, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა და ა.შ. დღევანდელი გადაწყვეტილებით, თუნდაც მსუბუქი სისხლის სამართლებრივი სანქციის გამოყენებაც არის არაკონსტიტუციური. ეს არის ახლად გამოვლენილი გარემოება და არსებობს, რა თქმა უნდა, იმის შესაძლებლობა, რომ თუ ადამიანს ამის გამო აქვს დაკისრებული სხვადასხვა სანქცია, მოხდეს მისი გადასინჯვა, – განაცხადა გოცირიძემ.

მისივე თქმით, საკონსტიტუციო სასამართლო ნარკოპოლიტიკის მხრივ ბევრად პროგრესულია, ვიდრე ხელისუფლების სხვა შტოები – ეს იქნება საქართველოს პარლამენტი თუ მთავრობა.

– საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ კიდევ საკმაოდ პროგრესული მიდგომა გამოავლინა, როდესაც თქვა ის, რომ ადამიანის მიერ ნარკოტიკული საშუალების პირადი მიზნით მოხმარება არის არაჰუმანური და დამამცირებელი სასჯელი. ასევე მისასალმებელია, რომ ადამიანის უფლებების ამაღლებისკენ მიმართული ხაზი დღეს აც გააგრძელა საკონსტიტუციო სასამართლომ და თქვა, რომ სამედიცინო ან განტვირთვის მიზნით მარიხუანის მოხმარება არის საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული უფლება. საკონსტიტუციო სასამართლომ თქვა შემდეგი, რომ მარიხუანა თავისი არსით არ იწვევს მიჩვევას და ამავდროულად არ არსებობს შესაძლებლობა, რომ მარიხუანის მოხმარების შემთხვევაში ადამიანი ჩაიდენს დანაშაულს, – განაცხადა გოცირიძემ.

საკონსტიტუციო სასამართლომ „გირჩის“ სარჩელი, რომელშიც მოქალაქე გივი შანიძე მარიხუანას განმეორებითი მოხმარებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმებას ითხოვდა, დააკმაყოფილა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოში მარიხუანას მოხმარება დეკრიმინალიზებულია.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საკონსტიტუციო სასამართლოს მთავარმა მრჩეველმა სალომე ჯოხაძემ განუცხადა, სასამართლომ განმარტა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება იმ მიზნით, რომ ადამიანმა თავის ჯანმრთელობას ზიანი არ მიაყენოს, არ არის თავისუფალ საზოგადოებასთან თანხვედრი.

– მოსარჩელე ითხოვდა, მარიხუანას მოხმარებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმებას. მარტივ ენაზე რომ ვთქვათ, მოსარჩელე დეკრიმინალიზაციას ითხოვდა. საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და განმარტა, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მარიხუანას მოხმარებისთვის არ არის საჯარო ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი, რადგან ამ შემთხვევაში გასაღების საფრთხე არ არსებობს. ასევე, სასამართლომ თქვა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება იმ მიზნით, რომ ადამიანმა თავის ჯანმრთელობას ზიანი არ მიაყენოს, არ არის თავისუფალ საზოგადოებასთან თანხვედრი და ამიტომაც, დააკმაყოფილა სარჩელი, – განაცხადა სალომე ჯოხაძემ.

რევაზ არველაძე მთავრობის წინააღმდეგ — ენერგეტიკის სამინისტროს გაუქმება არ შეიძლება!

ნონა ცაბაძე

პარლამენტში მთავრობის სტრუქტურული რეფორმის შესახებ კანონის განხილვა მიმდინარეობს. კანონის განხილვამდე კულუარულად ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ უმრავლესობაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთსულოვნება არ იყო და ამას აუცილებლად მოყვებოდა დაპირისპირება.

ერთ-ერთი პირველი, ვინც მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდა, უმრავლესობის წევრი რევაზ არველაძეა, რომელიც აცხადებს, რომ სტრუქტურული რეფორმის შედეგად ენერგეტიკაში მუშაობის ხარისხი გაუარესდება.

რევაზ არველაძე „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

– ბატონო რევაზ, კომიტეტის სხდომაზე თქვენ უარყოფითი შეფასება დააფიქსირეთ სტრუქტურული რეფორმის მიმართ. თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს სიტუაციას გაუარესებს. გყავთ თანამოაზრეები უმრავლესობაში?

– მე არ ვიცი, რამდენი უჭერს მხარს და რამდენი არა ამ კანონპროექტს. პირადად მე მიმაჩნია, რომ ენერგეტიკის სამინისტრო თავისი მნიშვნელობით, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში, შეიძლება ჩაითვალოს ნომერ პირველ სამინისტროდ, იმიტომ, რომ ყველაფერი ამაზეა აწყობილი. ერთადერთი მიმართულებაა, ერთადერთი სფეროა, რომლის პარალიზება სრულ პარალიზებას უკეთებს ყველაფერს! მთელ ქვეყანას!

– ამიტომ ფიქრობთ, რომ ცალკე უნდა იყოს ეს სამინისტრო?

– გამომდინარე აქედან და იქიდანაც, რომ ძალიან ბევრი პრობლემაა დარჩენილი ენერგეტიკაში, ნურავინ იფიქრებს, რომ სისტემა აწყობილი და საკითხი მოგვარებულია. ის მოსაგვარებელია და ამ პრობლემების მოგვარებას სწორედ დონე სჭირდება.

– ეკონომიკის სამინისტრო ამას თავს ვერ გაართმევს?

– ენერგეტიკის მინისტრი ხშირად იღებს მონაწილეობას ამა თუ იმ ღონისძიებაში, ის მუშაობს ენერგეტიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, ბუნებრივია, როდესაც არსებობს ცალკე სამინისტრო და კონკრეტული მინისტრი, მისი მონაწილეობა გაცილებით ეფექტურია, ვიდრე, ვთქვათ, ეკონომიკის სამინისტროს ენერგეტიკის დეპარტამენტის უფროსის. ამ უწყების ეფექტიანობა აუცილებლად გაუარესდება.

– იქნებ გაართვას თავი ეკონომიკის სამინისტრომ და კარგად მართოს ენერგეტიკის სექტორი?

– ამაში ეჭვი მეპარება. კანონში ჩამოყალიბებულია, თუ რას უნდა აკეთებდეს ენერგეტიკის სამინისტრო. ეს არის ენერგეტიკის პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელება, ეს არის მასზე დაფუძნებული სტრატეგიის დამუშავება. პროგრამების, პროექტების დამუშავება. ეს არის საგანგებო სიტუაციებისთვის ქვეყნის სტრატეგიის დამუშავება, ეს არის მეცნიერებისა და განათლებისთვის ხელშეწყობა. კანონში ყველაფერი დეტალურად არის გაწერილი.

– რატომ მიიღო მთავრობამ ეს გადაწყვეტილება, ჩათვალეს, რომ ენერგეტიკის სამინისტრო ვერ ასრულებდა თავის ფუნქციებს?

– თუ მთავრობა ფიქრობს, რომ ენერგეტიკის სამინისტრო ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს, მაშინ სამინისტრო კი არ უნდა გაუქმდეს, ან შეუერთდეს სხვას, უნდა შეიცვალოს ის კადრები, რომლებიც მართავენ სამინისტროს. თუ მთავრობა ფიქრობს, რომ კანონებში არ არის ასახული ის, რასაც უნდა აკეთებდეს ენერგეტიკის სამინისტრო, მაშინ კანონი შეცვალონ და შესაბამისი შესწორებები შეიტანონ.

სამინისტროს გაუქმებაში არ არის გამოსავალი. გადავხედოთ ბოლო პერიოდის მოვლენებს, საქართველომ მოაწერა ხელი ასოცირების ხელშეკრულებას, საქართველო გაერთიანდა ევროპის ენერგეტიკულ თანამეგობრობაში. იქ არის ძალიან ბევრი დირექტივა, რომელიც საქართველომ უნდა მიიღოს და შეასრულოს.

– გაერთიანების შემთხვევაში ვერ შესრულება?

– ეს პროცესი გაწერილი იყო 2021 წლამდე, მას სამინისტრო პატრონობდა და ისევ სამინისტრო უნდა პატრონობდეს.

– შეცდომა იყო ხელისუფლების მხრიდან ასეთი გადაწყვეტილების მიღება?

– არ იყო სწორი გადაწყვეტილება. ნაადრევი იყო, თუმცა არც მომავალში უნდა გაუქმდეს ენერგეტიკის სამინისტრო, მაგრამ თუ მაინც შერწყმას ფიქრობდნენ სხვა სამინისტროსთან, ეს მოგვიანებით მაინც უნდა მომხდარიყო. თუნდაც 4 წლის შემდეგ.

– ამ 4 წელში რა შეიცვლებოდა?

– ის ვალდებულებები, რომლებზეც მე ვისაუბრე, ამ პერიოდში შესრულებული იქნებოდა. თუნდაც ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობის მიერ წარმოდგენილი დირექტივები,

რომლებიც საქართველომ უნდა შეასრულოს, 2021 წლამდე შესრულდებოდა. ნუ იფიქრებთ, რომ პრობლემები არ არის ენერგეტიკაში. კი, ბევრ მემორანდუმზეა ხელი მოწერილი, მაგრამ ისიც უნდა იცოდეთ, რომ ბევრი მათგანი გაჩერებულია და არც არაფერი კეთდება ამ მიმართულებით. თუნდაც ხუდონჰესის პრობლემები ავიღოთ, ის ამოვარდნილია იმ მოლოდინებიდან, რომლებიც მასზე მყარდებოდა. პრობლემა სხვა მხრივაც ბევრია.

– ბატონო რევაზ, გყავთ უმრავლესობაში თანამოაზრეები?

– არ ვიცი, ეს კენჭისყრის დროს გამოჩნდება. კომიტეტის სხდომაზე რამდენიმე დეპუტატმა დამიჭირა მხარი. ერთადერთი რომან გოცირიძე იყო, რომელიც არ ეთანხმებოდა ჩემს მოსაზრებებს. უფუნქციო სამინისტრო იყო და უნდა გაუქმებულიყოო. კატეგორიულად არ ვეთანხმები, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ სამინისტრო დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებს ან ვერ ასრულებს, ეს არ არის იმის საბაბი, რომ სამინისტრო გაუქმდეს!

– ბოლო პერიოდის განმავლობაში კახი კალაძე იყო ენერგეტიკის მინისტრი, ვიდრე საარჩევნო კამპანია ში ჩაებმებოდა. რამდენად კარგად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას? მან ხომ არ აქცია ეს სამინისტრო უფუნქციოდ?

– კატეგორიულად არ ვიზიარებ ამ მოსაზრებას. ერთი დეპუტატი თუ თვლის, რომ სამინისტრო უფუნქციოა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ რეალურად ასეა. კახი კალაძემ, რომელსაც ამ მიმართულებით არანაირი ცოდნა და გამოცდილება არ ჰქონდა, ყველაფერი თავიდან დაიწყო და ძალიან სწრაფად აითვისა ის აუცილებელი ნაწილი, რაც მინისტრს მოეთხოვება. კახი კალაძეს ვერ მოსთხოვ, რომ ელექტროტექნიკაზე გარდამავალი პროცესები ისწავლოს. რაც მინისტრს მოეთხოვება, ის ზედმიწევნით კარგად შეისწავლა და კარგადაც გაართვა თავი. მერე ელოშვილი დაინიშნა და წინასწარ არ ვიცით, ის რას იზამდა, ივარგებდა თუ არ ივარგებდა.

– ითქვა ისიც, რომ ელოშვილი იყო კალაძის კადრი და კალაძემ მისი მმართველობის ქვეშ დაიტოვა ენერგეტიკის სამინისტრო და მისი გაუქმების ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, რომ კალაძისთვის გავლენები შეესუსტებინათო. უმრავლესობის წევრი ბრძანდებით და რა ინფორმაციებს ფლობთ ამის შესახებ?

– თუ ეს ასე იყო, ამისთვის არის მთავრობა. მთავრობა ხომ კალაძეზე მაღლა დგას, მაშინ შეეცვალათ ელოშვილი, სამინისტროს რატომ აუქმებდნენ?! თუ ასე იყო, ელოშვილიც შეეცვალათ და მთლიანად მისი კადრები. საბედნიეროდ, საქართველო არ არის ისეთი დაღუპული ქვეყანა, რომ ენერგეტიკული კადრები არ ჰყავდეს.

– ბატონო რევაზ, ტარიფების შესახებ უნდა გკითხოთ. საუბარია, რომ ამ ზამთარს ელექტროენერგიის ტარიფი აუცილებლად მოიმატებს. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

– ინფორმაცია არ სჭირდება ამ ამბავს, დღეს ერთადერთი ობიექტური მიზეზი, რის გამოც შეიძლება ტარიფმა მოიმატოს, იქნება ლარის კურსი. თუ კურსი რამდენი თვის განმავლობაში სტაბილურად დაფიქსირდება 2.75 თეთრის დონეზე, მაშინ ტარიფი აუცილებლად მოიმატებს. ენერგეტიკული ორგანიზაციები ამ საკითხს აუცილებლად დააყენებენ. სწორედ ეს იქნება ერთადერთი ობიექტური მიზეზი ტარიფის მატების. დღეს სხვა რაიმე ობიექტური მიზეზი არ არსებობს!

– თუ ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა სპეციალისტების რჩევები და მაინც გააუქმა ენერგეტიკის სამინისტრო, ამ შემთხვევაში სიტუაციის გაუარესებას უნდა ველოდოთ?

– მე ვფიქრობ, რომ უნდა ველოდოთ. ამ სამინისტროს ეფექტიანობა მკვეთრად დაიწევს.

გია გვაზავა: „აფხაზეთს განსაკუთრებული სტატუსი უნდა ჰქონდეს“

გულიკო ბალაძე

როგორი იქნება საქართველოს „მომავლის კონსტიტუცია“, რომელსაც აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ამზადებს და ქვეყნის როგორ მოწყობას შესთავაზებს ერს?

საქართველოს ამჟამინდელ კონსტიტუციაში, რომელიც ახლახან მიიღო ქვეყნის პარლამენტმა, 5-6 ცვლილება კიდევ განხორციელდება, მათ შორის, ბლოკების ერთჯერადად (2020 წლის არჩევნებში) დაშვება, ბონუსების სისტემის გადახედვა, პრეზიდენტის არჩევის წესის განსაზღვრა, რომელიც ვენეციის კომისიასთან არის შეთანხმებული, მაგრამ როგორც ჩანს, ეს არ იქნება კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტი.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა (რომელიც ბოლო დროს შექმნილი საკონსტიტუციო კომისიის წევრიც არის) „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ უმაღლეს საბჭოში მუშავდება მომავლის კონსტიტუცია, რომელშიც ტერიტორიული მოწყობის საკითხიც იქნება გადაწყვეტილი.

– დაიხვეწა ბონუსების სისტემაც, ბლოკების ერთჯერადად დაშვების წესი, პრეზიდენტის არჩევის წესი, რომელიც ვენეციის კომისიასთან არის შეთანხმებული. შეიძლება იმის თქმა, რომ კონსტიტუცია ამ მხრივ გაუმჯობესდა, – მიაჩნია **გია გვაზავას**.

– ბატონო გია, აფხაზეთის კონსტიტუციური მოწყობის საკითხზე ხომ არ იყო საუბარი?

– არა, აფხაზეთის საკითხი არ განხილულა. აფხაზეთთან დაკავშირებით, ერთადერთი, წამოიჭრა საკითხი

ორპალატიან პარლამენტზე, მაგრამ ითქვა, რომ ამის გაკეთება ჯერ ნაადრევია. სანამ თვითონ აფხაზებს არ შევეკითხებით და მათთან ერთად არ გადავწყვეტთ, მათ გარეშე ამის გაკეთება არ შეიძლება.

– აფხაზების გარეშე რატომ არ შეიძლება? ხომ შეიძლება ჯერ ჩვენ გავაკეთოთ ეს და შემდეგ შევთავაზოთ აფხაზებს?

– ამას ჩვენ ვაკეთებთ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო. ეს არის მომავლის კონსტიტუცია, მაგრამ დღეს აფხაზების გარეშე ორპალატიან პარლამენტზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენ „მომავლის კონსტიტუციის“ თეზისები უკვე გაკეთებული გვაქვს.

– როგორ მოწყობას შემოგვთავაზებთ?

– ფედერაციული მოწყობის ტიპის თეზისები გვაქვს შემუშავებული მომავლის კონსტიტუციისთვის, რომელიც სამსჯავროზე გამოვა და საზოგადო განხილვა მოეწყობა. ქართველი საზოგადოება გადაწყვეტს, რა შენიშვნები შეიტანოს. კონსტიტუციის პროექტი ცოტა ხანში მზად იქნება.

– ე.წ. თქვენ ამზადებთ კონსტიტუციას, რომელიც ფედერალურ მოწყობას სთავაზობს საქართველოს?

– დიახ, ფედერალური მოწყობა იქნება. დღეს ჩვენ, პრაქტიკულად, ისედაც მოწყობილი ვართ, როგორც ფედერალური სახელმწიფო. აფხაზეთს განსაკუთრებული სტატუსი ექნება.

– კერძოდ?

– ერთადერთი, სეცესიის (გასვლის) უფლება არ ექნება. ჯერ ეს პროექტია და მზა პროდუქტამდეც შორს არის, მაგრამ რამდენიმე პროფესორი ამაზე მუშაობს.

– ანუ დღევანდელი უნიტარული სახელმწიფოს ფედერალურად გარდაქმნის კონსტიტუციას ამზადებთ?

– დიახ, ფედერალური სახელმწიფო ერქმევა. იტალიაც, რომ შეხედო, არ არის ფედერალური, მაგრამ სინამდვილეში ფედერალურია. ესპანეთი ფედერალურია, გერმანია ფედერალურია. ამგვარი მოდელები იქნება განხილული და იქიდან რომელიმეს ავარჩევთ. შვეიცარიის მაგალითიც გვაქვს, სადაც კიდევ უფრო სხვანაირადაა საქმე. რაღაც მოდელს აირჩევს საქართველო და ვილაპარაკებთ ამაზე, როცა შეგვეკითხებიან, სამომავლოდ თქვენ რა გაქვთო. სამომავლოდ აფხაზებისთვის ეს შეთავაზება გვექნება. მერე კიდევ ერთად განვიხილავთ.

– აფხაზეთის სტატუსი ზუსტად როგორ იქნება, დღეის მდგომარეობით თქვენ როგორ გაქვთ ჩამოყალიბებული?

– ჯერ არაფერია ჩამოყალიბებული. ჯერ ძიებაში ვართ და ვერაფერს გეტყვით. თეზისების დონეზეა და ბევრი საკითხია შესათანხმებელი. ხელისუფლების სამივე შტო ისე უნდა განაწილდეს, რომ შეთანხმებული იყოს საქართველოსთან. ამიტომ ცოტა რთული სამუშაოა. ეს არ არის ერთი და ორი დღის სამუშაო. შევეცდებით, წლის განმავლობაში რაღაც პროდუქტი დავდოთ. განსახილველად რომ გამოვიტანთ, პროფესიონალები დაამატებენ რამეს და რაღაც პროდუქტი შედგება პროექტის სახით. ხაზგასმით ვამბობ, პროექტია და არა რაღაც წინადადება.

– აფხაზებთან შეთანხმება სახელშეკრულებო ფორმით მოხდება თუ უბრალოდ დათანხმდებიან ამ მოდელს?

– ჯერ ამაზე ლაპარაკი არ არის. ამას, ალბათ, შემდეგ სრულიად საქართველო გადაწყვეტს.

გორის მერს 3 მოადგილე, 3 მრჩეველი, 3 თანაშემწე და 3 კონსულტანტი ეყოლება

ქალაქ გორის მერს 3 მრჩეველი, 3 თანაშემწე და 3 კონსულტანტი ეყოლება. საშტატო ნუსხა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა.

24 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, თითოეული მათგანთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდება და ძირითად შტატში არ იქნებიან.

ერთმანეთისგან განსხვავებულია როგორც კონსულტანტისა და მრჩეველ-თანაშემწეების ხელფასები, ასევე, საკუთრივ მრჩევლებს შორის ხელფასებიც.

მაგალითად:

I მრჩეველი – 1.400 ლარი; II მრჩეველი – 1.200 ლარი; III მრჩეველი – 1.100 ლარი

რაც შეეხება თანაშემწეებს, თითო-თითო თანაშემწის ანაზღაურება 1.000 ლარი ექნება. ხოლო კონსულტანტებისა – 900-900 ლარი.

გორის მერს მოემსახურება ორი მძღოლი, ერთი მძღოლის ანაზღაურება იქნება 1.000 ლარი, ხოლო მეორე მძღოლის – 850 ლარი.

რაც შეეხება მოადგილეებს, პირველი მოადგილის ხელფასი 2.150 ლარია, მოადგილის კი 2.050 ლარი. მერის ხელფასი 2.750 ლარით არის განსაზღვრული.

გორის მერი კოტე თავზარაშვილი 2017 წლის 21 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებზე აირჩიეს და გამარჯვება პირველივე ტურში ერგო.

ქართლი.ge

დოლარი ნოემბერს მინუსში ამთავრებს

მიუხედავად იმისა, რომ დოლარი დადებით დინამიკას ავლენს, მისი ინდექსი, რომელიც ექვს ძირითად ვალუტასთან, ამერიკული ვალუტის გასაშუალოებული კურსია, ნოემბერს მაინც მინუსში დაასრულებს.

ამას ბევრი ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში ის, რომ ინვესტორები აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მიმდინარე წლის ბოლო სხდომის მოლოდინში არიან.

დიდი აღბათობით, ფედი თავის დეკემბრის სხდომაზე დოლარის განაკვეთს ასწევს, თუმცა ინვესტორებს ახლა ის უფრო აინტერესებთ, თუ რა სიხშირით გაგრძელდება ეს პროცესი მომავალ წელს. სენატის წინაშე გამოსვლისას, ფედის თავმჯდომარეობის კანდიდატმა ჯერომ პაუელმა განაცხადა, რომ განაკვეთის ზრდა გაგრძელდება, თუმცა ეს მეტწილად ინფლაციის ზრდის ტემპზე იქნება დამოკიდებული.

მეორეც, პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ ინიცირებული საგადასახადო რეფორმის გატარება ჭიანურდება, რაც ინვესტორებს სიფრთხილისკენ უბიძგებს. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ევროკავშირის ეკონომიკის სტიმულირების პროცესს სასურველი შედეგი მოაქვს, ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის, ბრექსიტთან დაკავშირებული მოლაპარაკებები კი ბოლო ფაზაშია და, სავარაუდოდ, ორივე მხარისთვის სასურველი შედეგით დასრულდება, რაც ევროს და სტერლინგის გამყარებას იწვევს.

დოლარის ინდექსი 93.159-ის სიახლოვეს იმყოფება. ნოემბერში ჯამური კლება დაახლოებით 1.5 პროცენტს შეადგენს. დოლართან ბრიტანული სტერლინგი დღეს 0.5 პროცენტით გაიზარდა და 1.3469 დოლარს მიაღწია, რაც 26 სექტემბრის მაქსიმუმთან (1.3480) ახლოსაა. ბრიტანული ვალუტის ნოემბრის ზრდამ 1.4 პროცენტი შეადგინა.

ევრო დოლართან დღეს 0.2 პროცენტით გაიზარდა და 1.1864 დოლარს მიაღწია. ჯამში ევროპული ვალუტის ზრდამ ერთ თვეში 1.9 პროცენტს მიაღწია. მისი ბოლო ორი თვის მაქსიმუმი 1.1961 დოლარია, რომელიც ორშაბათს დაფიქსირდა.

იენთან წყვილში, დოლარის ზრდამ დღეს 0.1 პროცენტი შეადგინა. ერთი დოლარის ფასი 112.48 იენამდე გაიზარდა. არადა, წყვილის ფასი ახლახან (ორშაბათს) ბოლო 10 კვირის მინიმუმზე (110.85 იენი) იმყოფებოდა.

„თუ უწონასწორობა გაგრძელდება, ეროვნული ბანკი ბერკეტებს აუცილებლად გამოიყენებს“

– თუ უწონასწორობა გაგრძელდება, ეროვნული ბანკი მის ხელთ არსებულ ბერკეტებს აუცილებლად გამოიყენებს, – ეს განცხადება ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ლარის კურსთან დაკავშირებით გააკეთა.

– ეკონომიკური გუნდი, როდესაც ჩვენ სავალუტო რისკებზე ვსაუბრობთ, მთავარ პრიორიტეტში ფუნდამენტური საკითხების მნიშვნელოვან ანალიზს განსაზღვრავს, როგორიცაა ექსპორტი, იმპორტი და ასე შემდეგ. ჩვენ თუ ათი თვის სტატისტიკას ავიღებთ, ექსპორტში 30%-იანი ზრდა გვაქვს, თუ არ ვცდები, 8%-იანი – იმპორტში. ეროვნულმა ბანკმა დაახლოებით ერთი კვირის წინ გააკეთა განცხადება, რომ თუ უწონასწორობა გაგრძელდება, ეროვნული ბანკი მის ხელთ არსებულ ბერკეტებს აუცილებლად გამოიყენებს. შესაბამისად, მინდა ყველას მოვუწოდო, რომ ვუყუროთ ფუნდამენტურ საკითხებს და ამის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა გვქონდეს, – განაცხადა ბახტაძემ.

უვიზოდ საქართველოს ყველაზე მეტი მოქალაქე გერმანიაში გაემგზავრა

2017 წლის 28 მარტიდან 2 ნოემბრამდე, უვიზოდ საქართველოს ყველაზე მეტი მოქალაქე გერმანიაში გაემგზავრა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსის“ მიერ შსს-დან გამოთხოვილ სტატისტიკურ მონაცემებშია აღნიშნული.

შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, გერმანიაში 7 თვეში საქართველოს 46.045-მა მოქალაქემ იმოგზაურა. ამავე სტატისტიკის თანახმად, გერმანიის შემდეგ უვიზო რეჟიმით საქართველოს ყველაზე მეტმა მოქალაქემ საბერძნეთში ისარგებლა. კერძოდ, საბერძნეთის საზღვარი უვიზოდ საქართველოს 26.597-მა მოქალაქემ გადაკვეთა. საქართველოს 22.087 მოქალაქე გაემგზავრა იტალიაში, 13.091 პოლონეთში, 8.348 – ესპანეთში, 7.447 – უნგრეთში, 7.140 – კვიპროსში, 6.231 – საფრანგეთში, 4.053 – ავსტრიაში, 4.034 – ნიდერლანდებში, 3.342 – ლიტვაში, 2.873 – ლატვიაში, 2.515 – ჩეხეთში, 1.270 – ბელგიაში, 983 – შვეიცარიაში, 774 – შვედეთში, 678 – პორტუგალიაში, 654 – ბულგარეთში, 514 – რუმინეთში, 494 – ესტონეთში, 344 – მალტაში, 319 – დანიაში, 240 – ხორვატიაში, 152 – ნორვეგიაში, 129 – ფინეთში, 83 – სლოვენიაში, 70 – ლუქსემბურგში, 70 – სლოვაკეთში, 45 – ისლანდიაში, 3 – ლიხტენშტეინში, მთლიანობაში კი ეს რიცხვი 160.625-ს შეადგენს. 4.434 შემთხვევაში, არ არის ნაჩვენები შენგენის ზონის კონკრეტული ქვეყანა, სადაც საქართველოს მოქალაქეებმა იმოგზაურეს.

მონაცემები მოცემულია შენგენის ზონაში საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის ამოქმედების დღიდან (28 მარტი) 2 ნოემბრის ჩათვლით. აღნიშნულ პერიოდში შენგენის ზონაში მოგზაურობის საერთო რაოდენობამ – 165.059 ერთეული შეადგინა. პირების რაოდენობა, რომლებმაც სავარაუდოდ დაარღვიეს უვიზოდ მიმოსვლისთვის გათვალისწინებული 90-დღიანი ვადა, შეადგენს – 10.330-ს. მონაცემები მოიცავს მხოლოდ შენგენის ზონაში ავიარეისების მონაცემებს.

2018 წელს დაგროვებითი საპენსიო სისტემა ამოქმედდება

2018 წლის მესამე კვარტლიდან დაგროვებითი საპენსიო სისტემის ამოქმედება იგეგმება.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ საპენსიო კალკულატორს, რომლის მიხედვითაც შეძლებთ დაგროვებითი საპენსიო რეფორმის ჩართვის შემთხვევაში, წინასწარ გამოთვალოთ თუ რამდენი იქნება თქვენი პენსია.

დაგროვებით საპენსიო რეფორმაში ჩართვა სავალდებულო იქნება 40 წლამდე დასაქმებული ადამიანებისთვის, ხოლო ნებაყოფლობითი იქნება მათთვის, ვისაც კანონის ძალაში შესვლამდე უკვე შეუსრულდა 40 წელი. რაც შეეხება თვითდასაქმებულებს, ისინი ნებაყოფლობით გაწევრიანდებიან სისტემაში მათი ასაკის მიუხედავად. დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონპროექტის მიხედვით, ყოველთვიური შენატანი განისაზღვრება შემდეგნაირად: თითოეული დასაქმებულის ხელფასის დაუბეგრავი მოცულობის 2%-ს დაემატება დამსაქმებლის მიერ დარიცხული 2%. სახელმწიფო კი როგორც დასაქმებულების, ასევე თვითდასაქმებულების სასარგებლოდ მათ დამატებით გადაურიცხავს დასაბეგრი შემოსავლის 2%-ს. რაც შეეხება თვითდასაქმებულებს, ისინი საპენსიო ფონდში თავისი ხელფასის 4%-ს შეიტანენ.

საწარმოთა 13,1%-მა ბაზარზე გაუმჯობესებული საქონელი შემოიტანა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2016 წლის განმავლობაში, საწარმოთა 13,1%-მა ბაზარზე შემოიტანა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონელი, ხოლო იმ საწარმოთა წილი, რომლებმაც აღნიშნულ პერიოდში დანერგეს ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მომსახურება, განისაზღვრა 13,9%-ით. საქონლისა და მომსახურების ინოვაციები უმეტეს შემთხვევაში საწარმოების მიერ დამოუკიდებლად იყო შემუშავებული (შესაბამისად 59,1% და 56,4%). სხვა შემთხვევებში ამ კუთხით მათ მხარდაჭერა მიიღეს სხვა საწარმოებისგან ან დაწესებულებებისაგან. განხორციელებული ინოვაციების 48.2% ახალი იყო საწარმოებისთვის, ხოლო 51.8% – სიახლეს წარმოადგენდა ბაზრისთვის.

საწარმოთა ჩართულობა ინოვაციურ აქტივობაში შედარებით მაღალი წილითაა გამოხატული ისეთ სფეროში, როგორიცაა მანქანა-დანადგარების და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა – 21,5%. საკმაოდ მაღალი წილი ჰქონდა აგრეთვე დიზაინს (15,6%), ინოვაციურ აქტივობასთან დაკავშირებულ სწავლებას (13,8%) და საკუთარ კვლევებსა და დამუშავებებს (13,1%):

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2016 წლის განმავლობაში საწარმოთა 29,5%-მა შეიმუშავა საქონლის/მომსახურების ფასდადების ახალი სისტემა, 27,1%-მა განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები პროდუქციის ესთეტიკურ დიზაინსა და შეფუთვაში, 23,8%-მა უზრუნველყო ახალი მედიის ან ტექნიკის შემოტანა პროდუქციის პოპულარიზაციისთვის.

საქართველოში მარიხუანას მოხმარება დეკრიმინალიზებულია

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოში მარიხუანას მოხმარება დეკრიმინალიზებულია.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს მთავარმა მრჩეველმა სალომე ხუჯაძემ განაცხადა, სწორედ აღნიშნულს გულისხმობს სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც მარიხუანას განმეორებითი მოხმარებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმების თაობაზე „გირჩის“ წარმომადგენლის მოთხოვნა დაკმაყოფილა.

მისივე განმარტებით, სასამართლომ განმარტა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება იმ მიზნით, რომ ადამიანმა თავის ჯანმრთელობას ზიანი არ მიაყენოს, არ არის თავისუფალ საზოგადოებასთან თანხვედრი.

– მოსარჩელე ითხოვდა მარიხუანას მოხმარებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმებას. მარტივ ენაზე რომ ვთქვათ, მოსარჩელე დეკრიმინალიზაციას ითხოვდა. საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და განმარტა, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მარიხუანას მოხმარებისთვის არ არის საჯარო ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი, რადგან ამ შემთხვევაში გასაღების საფრთხე არ არსებობს. ასევე, სასამართლომ თქვა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება იმ მიზნით, რომ ადამიანმა თავის ჯანმრთელობას ზიანი არ მიაყენოს, არ არის თავისუფალ საზოგადოებასთან თანხვედრი და ამიტომაც, დააკმაყოფილა სარჩელი, – განაცხადა სალომე ხუჯაძემ.

საკონსტიტუციო სასამართლომ „გირჩის“ სარჩელი, რომელშიც მოქალაქე გივი შანიძე მარიხუანას განმეორებითი მოხმარებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმებას ითხოვდა, დღეს დააკმაყოფილა.

ინვესტორი საბურთალოზე სამშენებლო-დეველოპერულ პროექტს ეძებს

ინვესტორი საბურთალოზე სამშენებლო-დეველოპერულ პროექტს ეძებს. მოთხოვნებს რაც შეეხება, ტერიტორიის ფართობი 1.000-2.000 კვადრატულ მეტრს უნდა შეადგენდეს.

ამასთან, ტერიტორიას უნდა ჰქონდეს 12 და მეტი სართულის მშენებლობის კოეფიციენტი. ინვესტორის ცნობით, პრიორიტეტი მიენიჭება ტერიტორიას, რომელიც ცენტრალური გზის პირველ ზოლში მდებარეობს.

საინვესტიციო თანხა 500 ათასიდან 1.500.000 დოლარამდე შეადგენს.

რა ოდენობის ალკოჰოლური სასმელის შემოტანა შეეძლებათ მგზავრებს საზღვარზე

მგზავრების მიერ საქართველოს საზღვარზე პირადი ბარგით შემოსატანი სასმელის ლიმიტები იცვლება.

ამის შესახებ საგადასახადო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების განმარტებით ბარათშია აღნიშნული.

– ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში, იცვლება მგზავრთა მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას პირადი ბარგით შემოტანილი აქციზური საქონლის დამატებული ღირებულების გადასახადის, იმპორტის გადასახადის და აქციზისაგან გათავისუფლების რაოდენობრივი ლიმიტები. აღსანიშნავია, რომ მგზავრის მიერ საქონლის იმპორტი უნდა ხორციელდებოდეს პირადი მოხმარების მიზნით და არ უნდა ჰქონდეს სამეწარმეო ხასიათი, – წერია განმარტებით ბარათში.

როგორც ცვლილებათა პროექტში ვკითხულობთ, მოქმედი რედაქციით 4 ლიტრი ნებისმიერი სახეობის ალკოჰოლიანი სასმელის შემოტანა იყო დასაშვები.

ცვლილებების თანახმად კი დასაშვები იქნება: 4 ლიტრი ფერმენტირებული ღვინის; 16 ლიტრი ლუდის; 1 ლიტრი ალკოჰოლიანი სასმელის შემოტანა, ალკოჰოლის შემცველობით 22% და მეტი, ან არადენატურირებული ეთილის სპირტი ალკოჰოლის შემცველობით 80%-ი და მეტი და 2 ლიტრი ალკოჰოლიანი სასმლის – რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა 22% -ზე ნაკლები იქნება. დასაშვებია პირველ და მე-2 პუნქტში მოცემული ალკოჰოლიანი სასმელების კომბინაცია 100%-ის ოდენობით.

გიორგი პერტაია პოლიციელებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს

თბილისის პროკურატურაში გიორგი პერტაიას გამოკითხვა დასრულდა, რომელიც პოლიციელებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს.

თბილისის პროკურატურაში გამოკითხვა რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. გიორგი პერტაიას განცხადებით, მან საგამოძიებო უწყებას იმის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, თუ როგორ განვითარდა მოვლენები.

გიორგი პერტაიას ადვოკატის, დიმიტრი ხაჩიძის განცხადებით, კითხვები ძირითადად შეეხებოდა ფაქტობრივ გარემოებებს.

– კითხვები იყო ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, თუ როგორ განვითარდა მოვლენები 26-27 ნოემბრის ღამით, როგორ მოხდა მისი დაკავება, რა ფორმებით მოხდა შეურაცხყოფა როგორც ფიზიკური, ასევე სიტყვიერი. დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა, რომელიც უახლოეს მომავალში ჩატარდება და შედეგებს შემდეგ მოგახსენებთ, – განაცხადა დიმიტრი ხაჩიძემ.

მისივე თქმით, აღნიშნულ საქმეზე პოლიციელებიც დაიკითხებიან, თუმცა ეს ბოლო ეტაპი იქნება.

პატიმარ დანტე რეხვიაშვილის ცემის გამო №8 საპყრობილის რეჟიმის ყოფილი ინსპექტორი კახა ყალიჩავა დააკავეს

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა მორიგი შემაჯამებელი გადაწყვეტილებები მიიღო.

უწყების ინფორმაციით, ციხეში პატიმრის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, პროკურატურის მიერ დაკავებულია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 საპყრობილის რეჟიმის ყოფილი ინსპექტორი კახა ყალიჩავა, ხოლო პოლიტპატიმარ ზვიად შინჯიკაშვილის მიმართ პროკურატურის მიერ გამოტანილია დადგენილება მისი უფლებების არსებითად დარღვევის თაობაზე, რაც უკანონოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის საფუძველს წარმოადგენს.

„ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2008 წლის 27 ოქტომბერს, პატიმარი დანტე რეხვიაშვილი შესახლებულ იქნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის N8 საპყრობილეში. ამავე საპყრობილის რეჟიმის ინსპექტორმა და ამავდროულად კორპუსის ზედამხედველმა კ.ყ-მ შეიტყო, რომ დანტე რეხვიაშვილი თავს არ ცნობდა დამნაშავედ ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვის ბრალდებაში. ამ მიზეზით მან დანტე რეხვიაშვილი მის თანასაკნელებთან ერთად გაიყვანა საპყრობილის აბაზანაში და მას დანაშაულის აღიარება მოსთხოვა, რაზედაც უარის მიღების შემდეგ თავში რადიოგადამცემი ძლიერად ჩაარტყა და ცხვირი გაუტეხა, რის შემდეგაც N8 საპყრობილის უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორ ლ.ჩ.-სთან და ციხის სხვა თანამშრომლებთან ერთად განაგრძო ძირს დაგდებული დანტე რეხვიაშვილის ცემა.

კ.ყ-მ ნაცემი და დასისხლიანებული დანტე რეხვიაშვილი საკანში დააბრუნა და ცხვირის გატეხვის და მისგან გამოწვეული ძლიერი ტკივილის მიუხედავად, არ მისცა მას სამედიცინო დახმარების მიღების საშუალება და მკაცრად აუკრძალა მომხდარი ფაქტის და სამედიცინო დახმარების მოთხოვნის შესახებ ვინმესთან განეცხადებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა, რომ მის თანასაკნელებსაც ანალოგიურად გაუსწორდებოდა.

მომხდარი ფაქტიდან ორი თვის შემდეგ კ.ყ-მ და უსაფრთხოების ინსპექტორმა ლ.ჩ-მ კვლავ სცემეს პატიმარ დანტე რეხვიაშვილს და ისევ იმ მიზეზით, რომ იგი არ აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს.

დაზარალებული დანტე რეხვიაშვილის ცემა და ძალადობა მხოლოდ მას შემდეგ შეწყდა, რაც მის მიმართ სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და მისგან აღიარებითი ჩვენების მიღება საქმისთვის აღარ იყო მნიშვნელოვანი.

საქმეზე გრძელდება გამოძიება, კ.ყ-ს ბრალად ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით.

N8 საპყრობილის უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორ ლ.ჩ.-ს მიმართ კი არ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი გარდაცვალების გამო.

რაც შეეხება პოლიტპატიმარ ზვიად შინჯიკაშვილის საქმეს, იგი იყო ოპოზიციური პოლიტიკური მოძრაობის აქტიური წევრი, რომელიც მონაწილეობას იღებდა 2011 წლის 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციაში. სწორედ მისი პოლიტიკური აქტიურობის გამო, სამართალდამცავების მიერ დაიგეგმა ზვიად შინჯიკაშვილის დაკავება და მისი უკანონო მსჯავრდება.

2011 წლის 6 სექტემბერს, გურჯაანში, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, როდესაც ზვიად შინჯიკაშვილი პირად საქმეზე მიდიოდა, მასთან მოულოდნელად მივიდნენ შსს გურჯაანის რაიონული სამართველოს თანამშრომლები, რომლებმაც მას პოლიციის განყოფილებაში გაყოლა მოსთხოვეს. ადგილზე მისულს კი განუცხადეს, რომ იგი იყო დაკავებული ხულიგნობის ბრალდებით – ბაზრის ტერიტორიაზე მომხდარი ინციდენტისთვის, რომელსაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია. მოგვიანებით, მისი განზრახ უკანონო მსჯავრდების მიზნით დაკითხეს გამოგონილი ინციდენტის ე.წ. „თვითმხილველი“ მოწმეები, რომლებმაც პოლიციელების ზეწოლის შედეგად გამოძიებას მისცეს ცრუ ჩვენებები.

ყალბი მტკიცებულებების საფუძველზე, პოლიტიკური მოტივით დაკავებული ზვიად შინჯიკაშვილი გასამართლებულ იქნა თელავის რაიონული სასამართლოს მიერ და მას მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

პოლიტიკური ნიშნით დაკავებულმა ზვიად შინჯიკაშვილმა საპატიმრო დაწესებულება 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ დატოვა, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მას პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა.

აღნიშნულ საქმეში, ახალი გამოძიების პროცესში მოპოვებული მტკიცებულებებით, მათ შორის ზვიად შინჯიკაშვილის დაკავების შემსწრე ახალი მოწმეების ჩვენებებით დადასტურდა, რომ მის მიმართ ბრალად შერაცხულ დანაშაულებრივ ქმედებას ადგილი არ ჰქონია, რის გამოც პროკურატურის მიერ გამოტანილია დადგენილება მსჯავრდებულის უფლების დარღვევის თაობაზე, რის საფუძველზეც ჩვენ მივმართავთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით.

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი აქტიურად აგრძელებს საპატიმრო დაწესებულებებში პატიმრების მიმართ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებას და უკანონოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენების გადასინჯვას, – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

16 წელი ციხე მეუღლისთვის 16 ჭრილობის მიყენების გამო

ბრალდებულს, რომელმაც მეუღლეს დანით 16 ჭრილობა მიაყენა, 16 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ხ.ნ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახედ და ზომად 16 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ბრალდებულ ხ.ნ.-ს ბრალად ედებოდა ეჭვიანობის ნიადაგზე მეუღლისთვის ე.გ.-ის დანით თექვსმეტი ჭრილობის მიყენება, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა.

შემთხვევა ბოლნისის მუნიციპალიტეტში გაზაფხულზე მოხდა.

„საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ ცნო, თუმცა სასამართლომ შეაფასა რა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, დადასტურებულად მიიჩნია, რომ ხ.ნ.-ს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედებების მართლწინააღმდეგობა, ეჭვიანობის ნიადაგზე შურისძიების მოტივით სურდა ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა სისასტიკით, ითვალისწინებდა შედეგებს და შეგნებულად უშვებდა მას, შესაბამისად, სასამართლომ ხ.ნ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში“ – აღნიშნულია რუსთავის საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, განაჩენის გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მეშვეობით.

პროკურორი: „მოწმე ანჟელა ჟანიოს აქვს პრეტენზია ბრალდებულ ფარმან ჯეირანლის მიმართ“

გუშინ გაიმართა სამედიცინო კლინიკა „ლანცეტის“ დირექტორ ფარმან ჯეირანლის სასამართლოს სხდომა.

როგორც ბრალდებულის ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა განაცხადა, სხდომაზე დაკითხულმა მოწმემ, რომელიც ოპერაციის შემდეგ გარდაცვლილის მეუღლეა, აღნიშნა, რომ მას უშუალოდ ბრალდებულთან პრეტენზია არ გააჩნია.

– დღეს დაიკითხა დაზარალებულის მეუღლე და მან აღნიშნა, რომ ბრალდებულის მიმართ არ აქვს პრეტენზია. ფარმან ჯეირანლი არც ოპერატორი იყო, არც ექიმი და უშუალოდ ამ ოპერაციასთან შეხება არ ჰქონია. აქედან გამომდინარე მოწმემ აღნიშნა, რომ პრეტენზია არ მაქვს ბრალდებულთანო. თუმცა, მას პრეტენზია აქვს იმაზე, რომ გარდაეცვალა მეუღლე, – განაცხადა გელა ნიკოლაიშვილმა.

საქმის პროკურორ გიორგი ოსაძის თქმით, მოწმემ აღნიშნა, რომ მართალია მას არ გააჩნია პირადი ინტერესი ფარმან ჯეირანლისთან, თუმცა იმედი აქვს, რომ აღნიშნულ საქმეზე სამართალი დადგინდება.

მისივე თქმით, დაზარალებულის უფლებამონაცვლე ანჟელა ჟანიომ დაადასტურა კლინიკა „ლანცეტის“ ცალკეული თანამშრომლებისა და უშუალოდ ბრალდებულ ფარმან ჯეირანლის მხრიდან განხორციელებული უკანონო ქმედების ჩადენის ფაქტი.

– ანჟელა ჟანიო თავს ცნობს დაზარალებულად, ვინაიდან ოპერაციის შედეგად გარდაიცვალა მისი მეუღლე და ამავდროულად, ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც აწ გარდაცვლილ გიორგი ჩუბინიძეს კლინიკის ყოფილ იურისტ გიორგი არჩვაძის მიმართ აქვს პირადი ვალი – 40.000 აშშ დოლარის ოდენობით, კვლავ ძალაშია და ერიცხება პროცენტები. დაცვის მხარის შეკითხვაზე, ხომ არ გააჩნდა რაიმე პირადი ინტერესები ბრალდებულის მიმართ და მისი ჩვენება ხომ არ იყო ნაკარნახევი ამ ინტერესის გამო, დაზარალებულის უფლებამონაცვლემ განმარტა, რომ ჩატარებულ ოპერაციასთან და მისი მეუღლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მას გააჩნია პრეტენზია კლინიკისა და ბრალდებულ ფარმან ჯეირანლის მიმართ, თუმცა პირადი, კერძო ინტერესი კონკრეტულ პირთან, მათ შორის ფარმან ჯეირანლისთან დაკავშირებით, გამორიცხა, რითაც დაადასტურა საკუთარი ჩვენების ობიექტურობა.

ანჟელა ჟანიომ დაკითხვისას განაცხადა, რომ იგი ენდობა გამოძიებას, სასამართლოს და სჯერა, რომ არსებითი განხილვის შედეგად დადგინდება სიმართლე და მისი ინტერესები სრულად იქნება დაცული როგორც გამოძიების, ისე სასამართლოს მიერ, – განაცხადა პროკურორმა.

სამედიცინო კლინიკა „ლანცეტის“ დირექტორ ფარმან ჯეირანლის გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილით და 247-ე მუხლის პირველი ნაწილით ედავება, რაც პაციენტებისგან დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლებას ეხება.

პროკურატურა ელბერტ კობერიძის წამების საქმეზე მეგის ქარდავას საქმის გამოყოფას ითხოვს



ელბერტ კობერიძის წამების საქმეზე, სადაც ბრალდებულები ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნები დათა ახალაია, გიგი კალანდაძე, მეგის ქარდავა, რომან შამათავა და გიორგი სამუშია არიან, პროკურატურა მეგის ქარდავას საქმის გამოყოფას მოითხოვს.

როგორც გუშინდელ სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ განმარტა, იქიდან გამომდინარე, რომ მეგის ქარდავა უკრაინაშია დაკავებული და მის მიმართ საექსტრადაციო პატიმრობა მოქმედებს, შესაძლოა, აღნიშნული პროცედურები დროში გაიწელოს, შესაბამისად, ვერ მოხდება სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება სხვა ბრალდებული პირების მიმართ.

ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილის განცხადებით, ის 14 დეკემბერს შეხვდება უკრაინაში მეგის ქარდავას და მოისმენს საქმის გამოყოფის შესახებ მეგის ქარდავას პოზიციას, რის შემდეგაც სასამართლო პროცესზე დაეთანხმება ბრალდების მხარის შუამდგომლობას მეგის ქარდავას საქმის გამოყოფის თაობაზე.

მალხაზ ველიჯანაშვილმა პოზიციის მკაფიოდ ჩამოსაყალიბებლად 15 დეკემბრამდე ვადა ითხოვა.

მოსამართლემ გაითვალისწინა დაცვის მხარის პოზიცია და სასამართლო პროცესი 18 დეკემბერს, 18:00 საათისთვის გადადო.

მოსამართლე ხათუნა ხარჩილავას განმარტებით, შემდეგ პროცესზე სასამართლო მოისმენს დაცვის მხარის პოზიციას პროკურატურის შუამდგომლობაზე და იმსჯელებს ბრალდების მხარის შუამდგომლობის საკითხზე.

ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს, კერძოდ, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსს დათა ახალაიას, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილ უფროსს მეგის ქარდავას, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილეს გიგი კალანდაძეს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროსს რომან შამათავას და შსს-ს ყოფილ თანამშრომელს გიორგი სამუშიას გამოძიება მოქალაქე ელბერტ კობერიძის საქმეზე სამხედრო პოლიციის შენობაში მის სასტიკ წამებას ედავება. პროკურატურის პოზიციით, აღნიშნული პირები კობერიძისგან არარსებული ტერორისტული აქტის აღიარებას მოითხოვდნენ.

ტრამპმა სირიის მიმართ ინტერესი დაკარგა?

ევროპელი სამხედრო ექსპერტები ნატოს ჩინეთთან და იაპონიასთან დიალოგისკენ მოუწოდებენ

მარიამ მჭედლიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მ გადაწყვიტა, ომის შემდეგ თავისი სამხედრო ბაზა დატოვოს სირიის ჩრდილოეთში და იქ ხელი შეუწყოს ასადისგან დამოუკიდებელი ადგილობრივი ადმინისტრაციის ჩამოყალიბებას, დასავლელი ექსპერტები საუბრობენ ვაშინგტონის ჩამოცილებაზე სირიაში მიმდინარე პროცესებიდან.

მიმომხილველი დანიელ ვერნე აცხადებს, რომ კრემლის მეთაურმა სირიაში პოლიტიკური მოვლენების შემოქმედის პოზიცია დაიკავა, დონალდ ტრამპმა კი სირიის მიმართ ინტერესი საერთოდ დაკარგა. აშშ-ს არც ჰქონია სტრატეგია ამ საკითხში. პუტინმა ამ დღეებში მსოფლიოს გააგებინა, რომ სირიაში გადაწყვეტილებებს მიიღებს არა მისგან დავალებული ბაშარ ასადი, არამედ თვითონ.

ექსპერტის შეფასებით, საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე პუტინს უნდა სირიის ომის თავიდან მოშორება. რუსეთის მოსახლეობა უკმაყოფილოა დიდი დანაკარგით და ხარჯებით ამ ომში. მსხვერპლის რაოდენობა გასაიდუმლოებულია.

მიმომხილველის თქმით, ომის გაგრძელება რუსეთს ხელს არ უნდა აძლევდეს კიდევ იმიტომ, რომ ის იწვევს რეგიონში ირანის გავლენის ზრდას, რაც ეწინააღმდეგება მოსკოვის ინტერესს.

დანიელ ვერნე ნიშანდობლივად მიიჩნევს იმას, რომ პუტინმა სირიის თემაზე ირანისა და თურქეთის ლიდერებთან ამასწინანდელი შეხვედრის შედეგები აცნობა აშშ-ს, ასევე საუდის არაბეთის, ეგიპტის, ისრაელის მეთაურებს და არაევროპელ პოლიტიკოსებს.

„გარდიანის“ შეფასებით, პუტინი ცდილობს განამტკიცოს თავისი გამარჯვება სირიაში და დაეხმაროს ასადის დიქტატურას.

გამოცემის თქმით, როდის დამთავრდება ომი სირიაში, გაურკვეველია. გარკვეულია ის, რომ მისი დასრულების შემდეგ მთავარი ვიოლინოს პარტიას რუსეთი შეასრულებს. 2015 წელს ირანის მხარდაჭერით დაწყებულმა ინტერვენციამ რუსეთის პრეზიდენტი გამარჯვებამდე მიიყვანა. თუ არ ჩავთვლით ტრამპის მუქარებს ირანის მიმართ, აშშ-ის პოლიტიკა სირიაში გაუგებარი იყო და შემოიფარგლებოდა ტერორიზმთან ბრძოლით.

ბოლო ხანს პუტინი ჯერ ირანელ და თურქ ლიდერებს შეხვდა, მოგვიანებით კი კამერების წინ გამოჩნდა ასადთან ერთად.

რუსეთს თავისი გეგმებისთვის ამ რეგიონში გაეროს დახმარება დასჭირდა. აქამდე კრემლი გაეროს ჩარევას ან უგულებელყოფდა, ან ეწინააღმდეგებოდა. რუსეთისთვის მთავარი პრობლემა მომავალში იქნება ფინანსები, რომელიც აუცილებელია დანგრეული სირიის აღსადგენად.

„გარდიანის“ ინფორმაციით, დიდ ბრიტანეთს იმედი აქვს, რომ შეძლებს გავლენის მოხდენას სირიის მოვლენებზე. ეს რთული და მძიმე შედეგების მომტანი იქნება.

სირიაში რუსეთის გავლენის ზრდის პარალელურად, ევროპელი ექსპერტები აღიარებენ რუსეთის სამხედრო აგრესიის მზარდ საფრთხეს ევროპაში. მათი აზრით, ნატო მზად არ არის რუსეთთან სამხედრო კონფლიქტისთვის.

ამ რთულ სიტუაციაში ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს ნატოს, რუსეთის წინააღმდეგ დიალოგი დაიწყოს ალიანსის არაწევრ სახელმწიფოებთან, კერძოდ, ჩინეთთან, იაპონიასთან, ავსტრალიასთან და ჩრდილოეთ კორეასთან.

ჩრდილოეთ კორეა იმუქრება

ფხენიანმა ბალისტიკური რაკეტების გამოცდები განაახლა. მორიგი რაკეტა, რომელიც ჩრდილოეთ კორეამ გაუშვა, წინამორბედებისაგან განსხვავდებოდა. ის ფხენიანის მახლობლად მდებარე პოლიგონიდან გაუშვეს. რაკეტამ საკმაოდ დიდი მანძილი გაიარა და იაპონიის ზღვაში ჩაეშვა.

– არ დავმალავ, რომ აღფრთოვანებული ვარ! ახლა შეგვიძლია აშშ-ის ტერიტორიაზე ნებისმიერ პუნქტს მივწვდეთ, – განაცხადა ჩრდილოეთ კორეის დიქტატორმა კიმ ჩენ ინმა.

ჩრდილოეთ კორეის ტელევიზიამ ეს ამბავი მოსახლეობას საზეიმოდ ამცნო. განცხადებაში ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ კორეა ბირთვული სახელმწიფოების, უწინარეს ყოვლისა აშშ-ის შანტაჟისგან თავს იცავს.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ჯეიმს მატისი აცხადებს, რომ ჩრდილოეთ კორეას უკვე მართლაც ძალუძს აშშ-ის ტერიტორიაზე ნებისმიერ დასახლებულ პუნქტს მისწვდეს. ამას საერთაშორისო ექსპერტებიც ადასტურებენ. ამავე დროს, იმაზეც მიუთითებენ, რომ ისეთი ტიპის რაკეტას, რომელიც ჩრდილოეთ კორეამ გაუშვა, ბირთვული მუხტის ტარება არ შეუძლია.

– ბირთვული მუხტის შემთხვევაში ის დამძიმდება და მისი გაშვებაც პრობლემატური იქნება, – თვლიან ექსპერტები.

გაეროს უშიშროების საბჭოზე აშშ-ის წარმომადგენელმა გაეროში ნიკი ჰეილიმ მსოფლიოს ჩრდილოეთ კორეის ბლოკადისკენ მოუწოდა.

– ყველა ქვეყანას მოვუწოდებთ, რომ ჩრდილოეთ კორეასთან კავშირი გაწყვიტონ! – თქვა ჰეილიმ.

რუსეთის წარმომადგენელი ნებეზდნია ამას არ დაეთანხმა. ის მიიჩნევს, რომ ბლოკადა საპირისპირო შედეგებს გამოიღებს.

ხორვატმა გენერალმა სლობოდან პრალიაკმა ჰააგის სასამართლოზე თავი მოიკლა

29 ნოემბერს ჰააგის ტრიბუნალზე ბოსნიელი ხორვატების გენერალმა სლობოდან პრალიაკმა თავი მოიკლა.

მას თავის დროზე ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალმა 20 წლით პატიმრობა მიუსაჯა. პრალიაკს ბრალად ედებოდა ბოსნიელი მუსლიმანების მასობრივი დახვრეტები.

თავად პრალიაკი ბრალდებას უარყოფდა და ამტკიცებდა, რომ უდანაშაულოა. ბოლოს მან მისი საქმის ხელახალ გამოძიებას მიაღწია.

ამის შემდეგ ჰააგის ტრიბუნალის განმეორებითი სხდომა დაინიშნა.

სხდომაზე პრალიაკს განუცხადეს, რომ მისი დანაშაული დადასტურდა. განაჩენიც ძალაში დარჩა. პრალიაკმა პასუხად ჯიბიდან რაღაც ამოიღო და პირში ჩაისხა. როგორც შემდგომში გაირკვა, ეს შხამი იყო.

– მე უდანაშაულო ვარ! – ასეთი გახლდათ მისი უკანასკნელი სიტყვები.

ხორვატი გენერალი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბრექსიტის შემდეგ დიდ ბრიტანეთში მიგრანტების რიცხვი ერთი მესამედით შემცირდა

დიდ ბრიტანეთში ბრექსიტის შემდეგ მიგრანტების რიცხვი ერთი მესამედით შემცირდა.

ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის შსს-ს სტატისტიკურ მოხსენებაშია ნათქვამი.

2016 წლის ივნისიდან 2017 წლის ივნისამდე პერიოდში დიდ ბრიტანეთში იმიგრაციის დონემ თითქმის ერთი მესამედით დაიკლო და 230 ათასი ადამიანი შეადგინა. ამ პერიოდის განმავლობაში დიდ ბრიტანეთში 572 ათასი ადამიანი ჩავიდა, 342 ათასმა კი ქვეყანა დატოვა.

დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირი 2019 წლის 29 მარტს, ბრექსიტის რეფერენდუმის 2 წლის თავზე უნდა დატოვოს.

თურქეთში სამხედროები გაასამართლეს

თურქეთის სასამართლოს წინაშე წარდგნენ სამხედრო მოსამსახურეები, რომელთაც ერდოღანის წინააღმდეგ პუტჩის ორგანიზებაში ედებათ ბრალი.

თურქეთის ხელისუფლება პუტჩის მოთავედ აშშ-ში მცხოვრებ თურქ მქადაგებელ გიულენს მიიჩნევს. თავად გიულენი ამ ბრალდებას უარყოფს.

28 სამხედროს, რომელთაც ბრალი პუტჩში მონაწილეობაში დასდეს, სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ონკოლოგიური პროცესების მართვა, ლიმფის გაწმენდით მეტასტაზების განადგურება, სიმსივნური უჯრედის ზრდის შეჩერება, ქიმიოთერაპიის ეფექტურობის გაზრდა, იმუნიტეტის ამაღლება, თმის ცვენის, გულის რევის შეჩერება, ენერგიისა და ჭამის მადის მომატება მცენარეული, აბსოლუტურად უვნებელი საშუალებებით. ტელ: 597-98-95-99.

● ფსორიაზის, ეგზემის, კანისა და ფრჩხილის სოკოს მკურნალობა გარანტირებული შედეგებით. ფსორიაზის მკურნალობა ლიმფის გაწმენდით (შინაგანად) და მალამოებით. მამაკაცური სექსუალური პრობლემების მოწესრიგება, ერექციის გახანგრძლივება და სხვა – მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 597-98-95-99.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკური), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

შოთა მიშველიძე მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორია

ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიის ქალაქ ანაჰაიმში დაიწყო ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი და საქართველოს დელეგაციამ ერთი მედალი უკვე მოიპოვა – 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში შოთა მიშველიძე ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

არადა, მიშველიძემ ცუდად დაიწყო და ატაცში პირველი მისვლა გააცუდა, მაგრამ შემდეგ ორი მისვლა გამოიყენა და 135 კილოგრამით მე-4 შედეგი აჩვენა.

ყველაფერი აკვრაზე იყო დამოკიდებული, სადაც სამივე მისვლა კი გამოიყენა და 163 კილოგრამიც დაძლია, მაგრამ ამ კომპონენტში მხოლოდ მე-5 შედეგი ჰქონდა. თუმცა, ეს საკმარისი აღმოჩნდა, ჯამში მე-3 შედეგი დაეფიქსირებინა.

საბოლოოდ, ორჭიდში 298 კილოგრამით შოთა მიშველაძე პირველადგილოსან კოლუმბიელ ფრანსისკო ვალენსიას ორით, ხოლო მეორეადგილოსან იაპონელ იოჩი იტოკაზუს ერთი კილოგრამით ჩამორჩა და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

კალიფორნიულ ფიცარნაგზე კიდევ 3 ქართველ ძალოსანს ვიხილავთ და უკეთესი სინჯის მედლებს ველოდებით. 4 დეკემბერს 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზებს რევაზ დავითაძე, 5 დეკემბერს ქალთა 90 კილოგრამ კატეგორიაში ანასტასია ჰოტფრიდი გამოვა, ხოლო ტურნირის დასკვნით დღეს საქმეში ოლიმპიურ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ მძიმეწონოსან ლაშა ტალახაძეს ვიხილავთ.

ფაჩულიამ ქულებს და მოხსნებს უმატა

დიდი ბრძოლა გადაიტანა და დამატებით დროში იმარჯვა ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტმა. ნბა-ს ჩემპიონმა მორიგი შეხვედრა ლოს ანჯელესში გამართა, სადაც ადგილობრივი ლეიკერსისგან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა.

ძირითადი დრო 109:109 დასრულდა, ხოლო ოვერტაიმის პირველსავე წუთზე სტეფ კარიმ 2 სამქულიანი ჩააგდო და მატჩის ბედი გოლდენსტეიტელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. საბოლოოდ ოკლენდურმა გუნდმა 127:123 მოიგო და დასავლეთ კონფერენციაში მეორე ადგილი გაიმყარა.

ქართველი ცენტრი ერთ-ერთი საუკეთესო იყო, თუმცა ის მოედანზე მე-4 პერიოდსა და დამატებით დროში არ გამოჩენილა. ფაჩულია სასტარტო ხუთულში იყო და 14 წუთში 11 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ზაზამ 5-დან 5 ორქულიანი და 1-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

ოკლენდელებს ამ შეხვედრაში დაუბრუნდათ კევინ დიურანტი, რომელმაც 42 წუთში 29 ქულა, 7 მოხსნა და 5 პასი მიითვალა. 28 ქულა და 7 პასი ჰქონდა სტეფ კარის, ხოლო კლეი ტომპსონის ანგარიშზე 20 ქულა დაგროვდა.

გოლდენ სტეიტს 16 მოგება და 6 მარცხი აქვს და დასავლეთ კონფერენციაში მეორეა. პირველზე მყოფ ჰიუსტონს 17 მოგება და 4 წაგება გააჩნია.

რა შანსები აქვს საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს შესარჩევში

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძვის. ეს იქნება ურთულესი ამოცანა. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ჩვენი ნაკრები შესარჩევ ეტაპს პრაქტიკულად მე-2 შემადგენლობით ატარებს.

ზაზა ფაჩულიასა და ვიქტორ სანიკიძის ნაკრებიდან წასვლა, ადრე თუ გვიან, გარდაუვალი მომენტი იყო. თუმცა, 2 ლიდერის წასვლას თან დაერთო ევროლიგის ორგანიზატორების ჯიუტობა, რომელთა გამო გერმანიასთან და სერბეთთან თორნიკე შენგელია და გიორგი შერმადინი მოვისაკლისეთ. ეს ჩვენი ნაკრებისთვის სერიოზული დარტყმა აღმოჩნდა – ორივე შეხვედრაში წავაგეთ ფარი, თან – საკუთარი.

ამას თან დაერთო ბექა ბურჯანაძის, დუდა სანაძისა და გიორგი ცინცაძის ტრავმები. განსაკუთრებით, ცინცაძის არყოფნა იყო მნიშვნელოვანი, რადგან მაიკლ დიქსონს თითქმის მთელი მატჩის მოედანზე გატარება უწევდა და თამაშის მიწურულს ისეთი ეფექტური ვეღარ იყო, როგორც სჩვევია. არადა, საუკეთესო იყო ორივე შეხვედრაში.

ასეა თუ ისე, შესარჩევი ეტაპი როგორმე ამ შემადგენლობით უნდა გადავაგოროთ.

რა შანსი გვაქვს

ახალი სისტემის თანახმად, მსოფლიოს 2019 წლის შესარჩევი ტურნირი 2 წლის მანძილზე გაგრძელდება. 24 ნოემბერს დაიწყო პირველი ჯგუფური ეტაპი, სადაც გუნდები მომდევნო ეტაპზე გასასვლელად იბრძვიან.

ევროპის საკვალიფიკაციოში შექმნილია 8 ოთხგუნდიანი ჯგუფი. თითოეული ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე გავა 3 საუკეთესო. ნაკრებები ჯგუფის 3 მეტოქესთან მიმოსვლით – შინ და სტუმრად ითამაშებენ და ჯამში 6 ტურის შემდეგ გაირკვევა ის საუკეთესო 3 გუნდი, რომელიც მეორე ჯგუფურ ეტაპზე გადაინაცვლებს.

3 გუნდში გასვლის შანსი და რესურსი მაინც გვაქვს: საქართველო ჯგუფში გერმანიასთან, სერბეთთან და ავსტრიასთან ერთად მოხვდა. ფიბა-ს გამოყოფილი 3 ფანჯრიდან ერთი უკვე მოვილიეთ – სამწუხაროდ, 2 მარცხით. დარჩა თებერვალში და ივნის-ივლისის მიჯნაზე გასამართი შეხვედრები.

საქართველოს ნაკრებს დარჩენილ 4 შეხვედრაში მინიმუმ 2 მოგება მართებს, ჯგუფიდან რომ გავიდეს, თუმცა როგორც გასულმა მატჩებმა გვიჩვენა, ქართველებს შესწევთ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლის უნარი და დარჩენილ შეხვედრებში მაქსიმალური შედეგის მიღწევას იმედიანად უყურებენ.

ჩვენს ჯგუფში 2-2 მოგებით ლიდერები სერბეთი და გერმანია არიან, ხოლო ავსტრიასა და საქართველოს 2-2 წაგება აქვთ. თებერვლის ფანჯარაში საქართველო ჯერ 23 რიცხვში ავსტრიაში ითამაშებს, ხოლო 2 დღეში თბილისში გერმანიას უმასპინძლებს. პირველი ეტაპის ბოლო ფანჯრის ფარგლებში ილიას ზუროსის გუნდი 2018 წლის 29 ივნისს სერბეთს უმასპინძლებს, ხოლო 2 ივლისს – ავსტრიას.

რა ხდება შემდეგ

თუ საქართველოს ნაკრები ჯგუფიდან გავა, მეორე ჯგუფური ეტაპის თამაშები გაიმართება 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ივნისამდე. ცნობილია, რომ ჩვენი ჯგუფიდან გასული 3 გუნდის მეტოქეები მომდევნო ეტაპზე იქნებიან ჰ ჯგუფის (საბერძნეთი, ისრაელი, ესტონეთი, დიდი ბრიტანეთი) 3 წარმატებული ნაკრები. ერთი ჯგუფიდან გასულ გუნდებს ერთმანეთში დაფიქსირებული შედეგები მეორე ეტაპზე გადაჰყვებათ და ეთამაშებიან მხოლოდ სხვა ჯგუფიდან გამოსულ 3 ნაკრებს. ანუ შეიქმნება 6-გუნდიანი ჯგუფები, თუმცა როგორც პირველ, ისე მეორე ეტაპზე ნაკრებებს მოუწევთ 6 მატჩის გამართვა.

მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის საგზურებს ამ 6-გუნდიანი ჯგუფების 3-3 საუკეთესო მიიღებს.

რა მდგომარეობაა პარალელურ ჯგუფში

2 გამარჯვებით ლიდერობს სბერძნეთის ნაკრები, რომელიც დიდი ალბათობით ჯგუფიდან გავა. თუმცა, უკეთესი იქნება, თუ ქულების შედარებით მწირი რაოდენობით. მართალია, ბოლოადგილოსანი ჯერჯერობით დიდი ბრიტანეთის ნაკრებია, მაგრამ მათ ორივე მატჩი სტუმრად აქვთ ჩატარებული და არავინ იცის, რა მოხდება საპასუხო შეხვედრებში.

თითო მოგება-წაგება აქვთ ისრაელსა და ესტონეთს, რომლებმაც ერთმანეთშიც ითამაშეს და ისრაელის ნაკრებმა მოიგო.

მოკლედ, პარალელურ ჯგუფში ჯერ ყველაფერი გაურკვეველია და კონკრეტულ საზომად არ გამოდგება. ცხადია, ყველაფერი ჩვენს ნაკრებზეა დამოკიდებული, რომელმაც ყველა საშინაო მატჩი უნდა მოიგოს, რათა შემდეგ ეტაპს ქულათა გარკვეული მარაგით შეხვდნენ.

ბითაძე შეიძლება მინესოტაში გადავიდეს

მედია ამერიკაში დიდ ყურადღებას უთმობს კალათბურთს და ეს გასაკვირიც არ არის – იქ ხომ კალათბურთი სამეულში შედის ამერიკულ ფეხბურთთან და ბეისბოლთან ერთად. თუმცა, რა გასაკვირია – ნბა სხვა კონტინენტებზეც არანაკლები პოპულარობით სარგებლობს.

სწორედ ნბა-ს მომავალ დრაფთან დაკავშირებით წერს ერთ-ერთი ამერიკული ვებგვერდი საქართველოს ნაკრების კალათბურთელ გოგა ბითაძეზე. ამერიკული მედიის ვარაუდით, ბითაძე დრაფტზე 51-ე ნომერი იქნება და მინესოტა ტიმბერვულვზი აარჩევს.

ვნახოთ, როგორ ახასიათებენ ამერიკელები ქართველ კალათბურთელს.

ძლიერი მხარეები: მისი პოზიციის კალათბურთელისთვის კარგი ფორმა, ძლიერი მხრები, კარგი ბალანსი და მობილურობა აქვს და ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდაა. მართალია, არ არის წარმატებული სპორტსმენი, მაგრამ შეუძლია შავი სამუშაოს შესრულება. არის ენერგიული კალათბურთელი, რომელსაც უყვარს უხეში თამაში. ამასთან, უყვარს აქტიური თამაში და არ ეშინია კალათბურთელებთან ფიზიკური კონტაქტის. მისი სხეული ნელ-ნელა უმჯობესდება და ის მალე აღარ იქნება ბავშვი. აქვს ლამაზი ნახტომი და პარკეტზეც მშვენივრად გადაადგილდება. აყენებს კარგ ბლოკებს, ბურთითაც და უბურთოდაც. აქვს კარგი უნარი პოზიციის შერჩევის და აქტიურად იყენებს ხელებს დაცვის დროს.

სუსტი მხარეები: არ არის ფეთქებადი, მისი მეორე ნახტომი არ არის ისეთივე ძლიერი, როგორიც პირველი. მართალია, მისი სხეული გაუმჯობესდა, მაგრამ უნდა გააგრძელოს ზრდა. არის ძალიან ემოციური მოთამაშე, რაც არ არის კარგი და ამან შეიძლება ზოგჯერ ყურადღება გაუფანტოს. არ ეშინია კონტაქტის, მაგრამ უჭირს ფიზიკურად ძლიერ მოთამაშეებთან შეჭიდება. ჯერჯერობით არ აქვს სტაბილური სროლა და ეს ძირითადად გამოუცდელობის ბრალია. უფრო კარგად უნდა ისწავლოს წესები და ყოველთვის არ უნდა წავიდეს ბლოკზე.

დასკვნა: გოგა ბითაძე აუმჯობესებს თავის თამაშს და აჩვენებს, რომ შეუძლია მომავალში დიდი კალათბურთელი გახდეს. თუ მუდმივად საფრთხეს შეუქმნის პერიმეტრს და გააგრძელებს მუშაობას, მისი სახით კალათბურთში საინტერესო პერსპექტივა იქნება.

ფეხბურთი

შედეგები

29 ნოემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

არსენალი-ჰადერსფილდი	5:0
ბორნმუთი-ბარნლი	1:2
ჩელსი-სუონსი	1:0
ევერტონი-ვესტ ჰემი	4:0
სიტი-საუთჰემპტონი	2:1
სტოკი-ლივერპული	0:3

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	14	13	1	0	44-9	40
2.მანჩესტერი	14	10	2	2	32-8	32
3.ჩელსი	14	9	2	3	25-11	29
4.არსენალი	14	9	1	4	28-16	28
5.ლივერპული	14	7	5	2	28-18	26
6.ბარნლი	14	7	4	3	14-11	25
7.ტოტენჰემი	14	7	3	4	22-12	24
8.უოტფორდი	14	6	3	5	24-25	21
9.ლესტერი	14	4	5	5	19-20	17
10.ბრაიტონი	14	4	5	5	13-14	17
11.საუთჰემპტონი	14	4	4	6	14-17	16
12.ნიუკასლი	14	4	3	7	13-19	15
13.ევერტონი	14	4	3	7	17-28	15
14.ჰადერსფილდი	14	4	3	7	9-24	15
15.ბორნმუთი	14	4	2	8	12-16	14
16.სტოკი	14	3	4	7	16-29	13
17.ვესტ ბრომვიჩი	14	2	6	6	12-21	12
18.ვესტ ჰემი	14	2	4	8	12-30	10
19.სუონსი	14	2	3	9	7-16	9
20.კრ.პალასი	14	2	3	9	8-25	9

ესპანეთი. სამეფო თასი

ბარსელონა-მურსია	5:0
სოსიედადი-ლეიდა	2:3
სევილია-კარტახენა	4:0
ბილბაო-ფორმენტერა	0:1
ატლეტიკო-ელჩე	3:0
ლას პალმასი-დეპორტივო	2:3

საფრანგეთი. 1 ლიგა

ანჟე-რენი	1:2
გენგამი-მონპელიე	0:0
ლიონი-ლილი	1:2
მეცი-მარსელი	0:3
ნანტი-მონაკო	1:0
ტულუზა-ნიცა	1:2
პსჟ-ტრუა	2:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	15	13	2	0	47-10	41
2.მარსელი	15	9	4	2	31-18	31
3.ლიონი	15	8	5	2	38-17	29
4.მონაკო	15	9	2	4	36-16	29
5.ნანტი	15	8	2	5	14-15	26
6.კაენი	15	7	2	6	10-14	23
7.მონპელიე	15	5	6	4	12-8	21
8.რენი	15	6	3	6	19-19	21
9.ამიენი	15	6	3	6	15-15	21
10.ბორდო	15	5	5	5	20-20	20
11.სტ.ეტიენი	15	5	4	6	16-23	19
12.დიჟონი	15	5	3	7	21-25	18
13.ტრუა	15	5	3	7	16-20	18
14.ნიცა	15	5	2	8	17-26	17
15.ტულუზა	15	4	4	7	14-22	16
16.გენგამი	15	4	4	7	14-23	16
17.სტრასბური	15	3	6	6	17-26	15
18.ლილი	15	4	3	8	14-23	15
19.ანჟე	15	2	8	5	18-25	14
20.მეცი	15	1	1	13	5-29	4

მოტლანდია. პრემიერლიგა

მოზერველი-სელტიკი	1:1
რეინჯერსი-აბერდინი	3:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ლინცერი-ვოლფსბერგერი	2:0
ზალცბურგი-მატერსბურგი	2:0
სტ.პოლენი-აუსტრია	1:0
რაპიდი-ალტახი	1:2

ბელგია. თასი

კორტრაიკი-ანტვერპენი	4:2
მეხელენი-გენკი 1:1	(4:5პ)
ბევერენი-უეპენი	2:0
გენტი-ლოკერენი	2:1
ანდერლეხტი-სტანდარდი	0:1

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

პლეი ოფის პირველი მატჩები სიონმა და კოლხეთმა მოიგეს

სიონი-დინამო (ბთ) 3:2

გოლნიში. თამაზ სტეფანია

1:0, 2:0 დვალი (13, 26), 2:1 კვირკველია(36), 2:2 თევდორაძე(40), 3:2 დვალი(45)

სიონი: ზარქუა, გიორბელიძე, ნოზაძე, კოშკაძე (ჭანკოტაძე 89), მანაგაძე, დვალი, ჯაფარიძე, ქიქავა, მიქაბერიძე, თევზაძე (თომაშვილი 56), სიხარულია

დინამო: ტიმოფეევი, ფარტენაძე (შონია 46), ქორიძე, ვარშანიძე, ქავთარაძე, თევდორაძე (მახარაძე 92), სუხიაშვილი, კვირკველია, გრიგალაშვილი (ჩოგაძე 80), მგელაძე, კვასოვი

ეროვნული ლიგის პლეი-ოფის პირველ მატჩში ბოლნისის სიონი შინ დაუხვდა ბათუმის დინამოს და 3:2 დაამარცხა.

ისეთი ანგარიშია, რომ ეროვნულ ლიგაში დარჩენის შანსი ორივე გუნდმა დაიტოვა. არადა, 25 წუთის შემდეგ ბათუმელთა მიზნები განწირული ჩანდა, რადგან ჯაბა დვალმა დუბლი გაიფორმა.

მხოლოდ 2 გაშვებული გოლის შემდეგ გააქტიურდნენ ბათუმელები და 30-ე წუთზე სახიფათო მომენტიც ჰქონდათ, როცა თევდორაძის ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ ნიკა მგელაძის თავური დარტყმა კარის ხაზიდან ბოლნისელებმა გამოიტანეს, მაგრამ 36-ე წუთზე თევდორაძის კუთხურს დავით კვირკველიას გოლი მოჰყვა – 2:1..

ზღვისპირელებმა მე-40 წუთზე წონასწორობაც აღადგინეს: ლუკა ნოზაძის უხეში შეცდომით ვაკო თევდორაძე მეკარესთან პირისპირ გავიდა და გაიტანა.

თუმცა, პირველ ტაიმში ანგარიში კიდევ ერთხელ შეიცვალა: 45-ე წუთზე დინამოს წინ გასვლაც შეეძლო, მაგრამ იაროსლავ კვასოვს (კვლავ ვაკო თევდორაძის კუთხურის შემდეგ) თორნიკე ზარქუამ არ გაატანინა – ბოლნისელთა მეკარემ შესანიშნავი სეივი განახორციელა.

და სიონმა დასაჯა მეტოქე – მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში ჯაბა დვალმა ულამაზესი გოლით მისი გუნდი წინ გაიყვანა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ბარსელონა ლუის სუარესის შემცვლელად ჰარი კეინს განიხილავს



ბარსელონას ურუგვაელი ფორვარდი ლუის სუარესი წელს საკმაოდ ცუდ სეზონს ატარებს და შედეგიანიც არ არის. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბარსელონა უკვე ეძებს მის შემცვლელს, რომელიც სავარაუდოდ ლონდონის ტოტენჰემის თავდამსხმელი ჰარი კეინი იქნება.

სუარესისგან განსხვავებით, კეინს წელს საოცარი სეზონი აქვს და ის თითქმის ყველა შეხვედრაში ახერხებს გოლის გატანას.

ტოტენჰემი თავის ლიდერს ადვილად არ დათმობს და კეინის სატრანსფერო ფასი სავარაუდოდ 200 მილიონი ევრო იქნება.

კეინის ყიდვა ბარსელონას მთავარ მეტოქე მადრიდის რეალსაც სურს.

ლევანდოვსკი ანჩელოტის აკრიტიკებს

მიუნხენის ბაიერნის ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ ბაიერნში გახშირებულ ტრავმებზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს არასწორი ვარჯიშების ბრალია, რომლებიც ბაიერნს სეზონის დასაწყისში ჰქონდა.

ლევანდოვსკის აზრით, ანჩელოტი ფეხბურთელებს ზედმეტ დატვირთვებს აძლევდა, რასაც მათი ორგანიზმი ვერ უძლებდა და ამის გამო ისინი ტრავმებს იღებდნენ.

გერმანული პრესა ხშირად საუბრობდა იმაზე, რომ ლევანდოვსკის და ანჩელოტის დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. პოლონელი ფორვარდის განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, ეს სიმართლე ყოფილა.

ანტონიო კონტე სუონსისთან შეხვედრის დროს გააძევეს

ლონდონის ჩელსის მთავარი მწვრთნელი ანტონიო კონტე სუონსისთან შეხვედრის დროს მსაჯმა ტრიბუნაზე გააძევა და კონტეს იქიდან მოუწია თამაშისთვის თვალყურის დევნება. მატჩის შემდეგ კონტემ განაცხადა, რომ ის არასწორად მოიქცა და ამის გამო მან მსაჯს ბოდიშიც მოუხადა.

– გაღიზიანებული ვიყავი იმის გამო, რომ მეტოქე გუნდი დროს იყვანდა და ამის გამო თავი ვერ შევიკავე. ვიცი, რომ არასწორად მოვიქეცი და მსაჯებს ბოდიშიც მოვუხადე. მიხარია, რომ ჩელსიმ გაიმარჯვა, – განაცხადა ანტონიო კონტემ.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენმატჩიან დისკვალიფიკაციას მიიღებს ანტონიო კონტე.

მესუტ ოზილის ყიდვა ჩელსისაც მოუნდა

არსენალის გერმანელი ნახევარმცველისთვის, მესუტ ოზილისთვის ნამდვილი ომია გაჩაღებული. ოზილის ყიდვა ბარსელონას და მანჩესტერ იუნაიტედს სურთ და მათ რიგებს ლონდონის ჩელსიც შეუერთდა.

არსენალი ოზილის გაყიდვას არ აპირებს, მაგრამ მას, სავარაუდოდ, მაინც მოუწევს ამის გაკეთება, რადგან სეზონის ბოლოს ოზილს არსენალთან კონტრაქტი უმთავრდება. ზაფხულში ოზილი თავისუფალი აგენტი იქნება და ნებისმიერ გუნდში შეძლებს გადასვლას, თუ მან არსენალთან ახალი კონტრაქტი არ გააფორმა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

პლეი ოფის პირველი მატჩები სიონმა და კოლხეთმა მოიგეს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

მეორე ტაიმი უფრო მშვიდი იყო. ბურთს ძირითადად სიონი აკონტროლებდა. სახიფათო მომენტიც მხოლოდ ერთი შეიქმნა, როდესაც ლაშა მანაგაძის დარტყმა ხარიხას მოხვდა და კარის ხაზზე დაეცა.

ტოლხეთი-მეჩანი

ფოთი. პარკი არენა

1:0 დერებჩინსკი (36), 2:0 ბოლქვაძე (41), 2:1 ტრეტიაკი (43)

კოლხეთი: სეფიაშვილი, გ.კილასონია, გოგონაია, ნონდი, ბროვკო, დერებჩინსკი, ჯანელიძე, ჟიშკარიანი, მაჩარია (ბახია 52), ბოლქვაძე (შალიკაშვილი 84), ბუხაიძე (მახარაძე 73)

მერანი: მამალაძე, ორბელაძე, გეგია, ტეიდი, ბარაბაძე (ჩუკურა 58), კურდღელაშვილი (ჯიქია 80), მაისაშვილი (თოლორდავა 87), ტრეტიაკი, ლომაშვილი, მელიავა, ჩალაძე

კიდევ ერთ პლეი ოფის მატჩში ფოთის კოლხეთმა საკუთარ მოედანზე 2:1 დაამარცხა მარტვილის მერანი და ამ მატჩშიც ყველაფერი საპასუხო შეხვედრაში გაირკვევა.

ბოლნისური შეხვედრის მსგავსად, მასპინძლები აქაც 2-ბურთიანი უპირატესობით დაწინაურდნენ. 36-ე წუთზე იგორ ბროვკოს ჩაწოდებული ბურთი მერანის მცველმა ცუდად მოიგერია, ფოთელთა შეტევა ამოს ნონდიმ გააგრძელა, რომელმაც ალეკსანდრ დერებჩინსკი მოძებნა და მანაც ანგარიში გახსნა – 1:0.

41-ე წუთზე დავით ბოლქვაძემ ბრწყინვალე გოლი გაიტანა – მარცხენა ფლანგზე რამდენიმე მცველი გააბითურა და მოჭრილი დარტყმით მამალაძეს მარცხენა მაღალ კუთხეში გაუტანა – 2:0.

კოლხთა გოლებამდე უკეთ მერანი გამოიყურებოდა და თითქოს მასპინძლებმა თავისი თამაში იპოვეს, მაგრამ ასე არ მოხდა – 43-ე წუთზე კიჭი მელიავამ მარჯვენა ფლანგიდან

ჩააწოდა და სერგეი ტრეტიაკმა თავური დარტყმით ანგარიში შეამცირა.

მე-2 ტაიმში გოლი აღარ გასულა, მაგრამ მცდელობა ორივე გუნდს ჰქონდა...

ასევე გაიმართა ეროვნული ლიგა 2-ის პლეი-ოფის პირველი მატჩები.

თელავი-გუჩია 2:1

თელავი. გივი ჩოხელი

1:0 ხარებაშვილი (56), 1:1 ტელა (61), 2:1 ნოზაძე (90+3)

თელავმა საკუთარ მოედანზე ლანჩხუთის გურიას უმასპინძლა და 2:1 დაამარცხა მეტოქე. შეხვედრა თელაველთა სრული უპირატესობით წარიმართა და რიგ ეპიზოდებში მათ თავდამსხმელს, გიორგი ნიქაბაძეს ზუსტად რომ ემოქმედა, ანგარიში გაცილებით დიდი იქნებოდა.

პირველი ნახევარი გატანილი გოლების გარეშე დასრულდა. მასპინძლებმა პირველი გოლი 56-ე წუთზე გაიტანეს. გიორგი ხარებაშვილმა ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო, საჯარიმოს მიუახლოვდა და საშუალო დისტანციიდან ძლიერი დარტყმით მეკარისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში გაიტანა.

გოლის შემდეგ თელავმა კონცენტრაცია დაკარგა და ამისთვის მალევე დაისაჯა. 61-ე წუთზე მაგლოირ ტელამ თავური დარტყმით წონასწორობა აღადგინა. შეხვედრა თელაველთა შეტევებით გაგრძელდა და მატჩის მიწურულს გიორგი დეკანოსიძის გუნდმა გამარჯვების გოლი გაიტანა. მსაჯის მიერ კომპრესირებულ დროში 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეცვლაზე შემოსულმა ნიკა ნოზაძემ შეასრულა. თუმცა, პენალტის დანიშვნა ძალიან საკამათო იყო...

მეშახტე-ნოჩჩი დინამო 0:1

ქუთაისი. რამაზ შენგელია

0:1 დეისაძე (40), 0:2 მელქაძე (64)

ტყიბულის მეშახტემ ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია თბილისის ნორჩ დინამოს და 0:2 დამარცხდა.

ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს გაიხსნა: მე-40 წუთზე გოგი ფიფიას გამოზომილი გადაცემით იაგო დეისაძემ გაიტანა. შეხვედრა დინამოელთა შეტევებით გაგრძელდა და მეორე ტაიმის 64-ე წუთზე გიორგი მელქაძემ საკუთარი გუნდის უპირატესობა ორამდე გაზარდა. მატჩის დარჩენილ დროში „ნორჩმა დინამომ“ ანგარიში უპრობლემოდ შეინარჩუნა და განმეორებით შეხვედრას გუნდი კომფორტული უპირატესობით ხვდება.

პლეი-ოფის განმეორებითი მატჩები 3 დეკემბერს გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ასტროპროგნოზი

1 დეკემბერი

ვერძი – პლანეტების მფარველობას გრძნობთ. კოლეგები და ნათესავებიც თქვენ მიმართ კეთილგანწყობას ამჟღავნებენ. **კურო** – მატერიალური მდგომარეობა, მთლიანობაში, სტაბილურია. მიზნის მისაღწევად საკმაო ძალისხმევა დაგჭირდებათ. **ტყუპები** – ქალაქგარეთ გასვლა, ახალი ნაცნობობა სასარგებლო იქნება. რასაც ხელს მოჰკიდებთ, გამოგივათ. **კირჩხიბი** – შემოქმედებით სფეროში წარმატებას აღწევთ. კეთილისმყოფელი დღეა სტუმრების მისაღებად. **ლომი** – საშუალება გეძლევათ, თქვენი შესაძლებლობები სრულყოფილად გამოავლინოთ. კვების რეჟიმი დაიცავით. **ქალწული** – გადაღლა სახიფათოა თქვენი ჯანმრთელობისათვის. ემოციები მართეთ. **სასწორი** – უსიამოვნო სიურპრიზის მიუხედავად, საქმეებს აგვარებთ. მეტი სიბრძნე და თავშეკავება გმართებთ. **ღრიანკალი** – პასიური დღეა. კოლექტიური მუშაობა სასარგებლო იქნება. საკუთარ თავზე დიდ პასუხისმგებლობას ნუ აიღებთ. **მშვილდოსანი** – ახალი იდეები, ინიციატივა წარმატებას მოგიტანთ. სამსახურში უფროსობა თქვენით კმაყოფილია. **თხის რქა** – წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით, სამომავლო გეგმები თამამად დასახეთ. იყავით პრაქტიკული. **მერწყული** – მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მატერიალური დანახარჯი. საკუთარი შესაძლებლობები რეალურად შეაფასეთ. **თევზები** – საქმიანი, შემოქმედებითი დღეა. სხვისი ზეგავლენისაგან საჩქაროდ გათავისუფლდით. იყავით დამოუკიდებელი და მოვლენები ადეკვატურად შეაფასეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. მდინარე ბერლინში; 2. დარიშხანის საბადო რაჭაში; 3. მაღალხარისხოვანი არომატული სპირტიანი სასმელი; 4. უმარილო ხმიადი, რომელსაც ებრაელები ამზადებენ პასექისათვის; 5. წითელი, ძვირფასი ქვა; 6. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 9. ნახევარკუნძული ევროპაში; 10. ადამიანი, რომელმაც მიიღო ახალი სარწმუნოება; 11. ქალაქი იმერეთში; 14. აკვიატებული შიში; 16. თეთრი ფერის, ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 18. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო სამხედრო გემი; 20. ქართველი რაგბისტი; 23. ქუდების მკერავი ძველად საქართველოში; 24. საშობაო სიმღერა; 25. მდინარე ოზურგეთში; 26. რუსეთის პარლამენტი.

თარაზულად: 7. თეთრყუნძნიანი ვაზის ქართული ჯიში; 8. კანონებში არსებული წინააღმდეგობები; 12. დუდუკზე შესრულებული დილის ჰანგი; 13. კუნულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 15. მდინარე ევროპაში; 17. ჩინეთის იმპერატორთა ტიტული; 19. კანიონი ხონის რაიონში; 21. ინდოეთის ოკეანისპირა ნავსადგური ავსტრალიაში; 22. საიდუმლო წერისთვის საჭირო პირობითი ნიშნების სისტემა; 27. ყოველთვიური ფულადი დახმარება სტუდენტთათვის; 28. ქართველ სახალხო მკურნალთა საგვარეულო.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დორსე; 2. წყალი; 3. გოლეული; 4. ეტნა; 5. იაგო; 6. „ამსტელი“; 9. მარკშეიდერი; 10. „ქიმერიონი“; 11. „ლივერპული“; 14. ცეკვა; 16. ტაიჭი; 18. „მაესტრო“; 20. ლაშქარი; 23. პერო; 24. გორდი; 25. ბლუზი; 26. თუნი.

თარაზულად: 7. კონდიტერი; 8. ფანატიზმი; 12. გურია; 13. პირეი; 15. „ნოკია“; 17. კასტელანი; 19. იუდეა; 21. „ლეონი“; 22. ფლეში; 27. პროკურორი; 28. ფურნიტურა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაიყუში; 2. პარასოლი; 3. იამაჰა; 4. ქსანი; 5. ჰანიბალი; 8. „ბახთიარი“; 12. „ლელო“; 13. ფონეტიკა; 14. მდოგვი; 16. ჭიკარტი; 18. ქარვა; 20. ტუბა.

თარაზულად: 6. „მალპენსა“; 7. არაბესკა; 8. ბაწარა; 9. ჯუნტა; 10. სოლოლაკი; 11. წყალბადი; 15. კოპერფილდი; 17. „ყოჩები“; 19. ვიქტორინა; 21. ლიქიორი; 22. „ბაქშტაინი“; 23. „ჰამლეტი“.

ხატია ბუნიათიშვილმა ორლანდო ბლუმთან დუეტში დაუკრა



პიანისტმა ხატია ბუნიათიშვილმა მსახიობ ორლანდო ბლუმთან ერთად დუეტში დაუკრა. თუმცა ეს არ ყოფილა კონცერტი ან რაიმე ოფიციალური ღონისძიება. წყვილმა როიალთან ერთად ყოფნის დროს „წაივარჯიშა“.

ვიდეო ხატიამ ინსტაგრამზე თავად გაავრცელა და მას ათასობით ნახვა, მოწონება და დადებითი კომენტარი მოჰყვა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველი პიანისტი და ბრიტანელი მსახიობი ერთად არიან. ისინი პაპარაცებმა ქუჩაში ერთად სეირნობისას გადაიღეს და ფოტოები ინტერნეტში გაუვრცელეს.

ცნობისმოყვარე საზოგადოება დაინტერესდა, რა ხდება მათ შორის და კომენტარისთვის პიანისტის დედას დაუკავშირდა, რაზეც ხატიას დედამ განაცხადა, რომ შვილის პირად ცხოვრებაში არ ერევა.

ქართველი მხატვრის მერაბ აბრამიშვილის ნამუშევარი კრისტის აუქციონზე გაიყიდა

მხატვარ მერაბ აბრამიშვილის ნამუშევარი „მოცეკვავე“ კრისტის აუქციონზე სოლიდურ ფასად გაიყიდა.

ინფორმაცია ბაია გალერამ გაავრცელა:

– სასიამოვნო სიახლე მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრების მფლობელთათვის!

კიდევ ერთი მაღალი შედეგი ხელოვნების საერთაშორისო ბაზარზე!

კრისტის აუქციონზე მერაბ აბრამიშვილის „მოცეკვავე“, რომლის ესტიმეიტი 7.000-9.000 ფუნტი სტერლინგი იყო, 18.750 ფუნტად გაიყიდა!

თამუნა მუსერიძე და სანდრო მიკუჩაძე ბიჭის მშობლები გახდებიან

ტელეწამყვანი თამუნა მუსერიძე და რუსთაველის თეატრის მსახიობი სანდრო მიკუჩაძე პატარას ელოდებიან.

მათი ხანმოკლე განშორება და ცუდი ცხოვრებისეული ეტაპი დასრულდა და ახლა ისინი საერთო შვილის მოლოდინში არიან.

თამუნა მალე ბიჭის დედა გახდება. – ბიჭია, ბიჭი! – ასე გააგებინა ყველას სანდროომ სასიხარულო ინფორმაცია თავის უახლოეს ადამიანებს.

პატარა თამუნასთვის მეორე შვილია. პირველი, სანდრო, მას მუსიკოს გურამ მაკალათიასთგან ჰყავს.

მეორე შვილი იქნება მომავალი პატარა სანდრო მიკუჩაძისთვისაც. მას პირველი ქორწინებიდან გოგონა, ელენე ჰყავს.

თუკი აქამდე თამუნა მუსერიძე თავის ორსულობას და სანდროსთან შერიგებას მალავდა, ახლა ფოტოები ინტერნეტში თავად გაავრცელა და უამრავი მილოცვა და დადებითი სურვილები დაიმსახურა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

კლარა, გალაქტიონ, მერაბ ღლონტები, თენგელა ლორთქიფანიძე, დოდო შენგელია იუწყებიან ბიძაშვილის – გენო ცინცაბაძის მეუღლის

მერი წულუკიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მისი ოჯახის წევრებს ამ დიდი მწუხარების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მარო თარხნიშვილის მოგონებები საჯაროა

საქართველოს ეროვნულმა არქივმა გამოსცა მარო თარხნიშვილის მემუარები, რომელიც გამოცემათა ციკლის „მოგონებები, დღიურები, ჩანაწერები“ მეორე ტომია.

პირველი ქართველი ლოტბარი ქალის მოგონებებში ასახული ამბები 1909-1968 წლებს მოიცავს. შესაბამისად, მასში ავტორი სამი განსხვავებული ეპოქის მეფის რუსეთის, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა საქართველოს ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს.

ავტორი იხსენებს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთისა და უკრაინის სხვადასხვა ქალაქში ჩატარებულ კონცერტებს, ფესტივალებს, საზეიმო ღონისძიებებს. მის მემუარებში შეხვდებით მელიტონ ბალანჩივაძეს, ზაქარია ფალიაშვილს, კოტე ფოცხვერაშვილს, ვერიკო ანჯაფარიძეს, შალვა დადიანს, ნატო ვაჩნაძეს, ელისაბედ ჩერქეზიშვილს და სხვა ცნობილ ადამიანებს.

საბჭოთა პერიოდის მოგონებებს მარო თარხნიშვილი განსაკუთრებული სიფრთხილით წერს. მხოლოდ შიგადაშიგ შეიძლება წააწყდეს მკითხველი ასეთ ფრაზებს: „არც აქ გამიღიმა საბოლოოთ ბედმა, რადგან მეუღლე დიმიტრი თარხან-მოურავი გარდაიცვალა 24 წელში და ჩემმა წინსვლამ ისევ უკან დაიწია“. როგორც ცნობილია, დიმიტრი თარხან-მოურავი საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრიტა.

მარო თარხნიშვილის მემუარები დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში. მოგონებები გამოსაცემად ეროვნული არქივის თანამშრომელმა ნინო ბადაშვილმა მოამზადა.

ატენის სიონის ჩამოტეხილ ქვებს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა

გორის მუნიციპალიტეტში მდებარე ატენის სიონის ეკლესიის ინტერიერისა და საპირე წყობის ქვის საკონსერვაციო სამუშაოების მე-2 ეტაპი დასრულებულია. კონსერვაციის პროცესი, რომელიც კედლის დასავლეთ სეგმენტებზე მიმდინარეობდა, ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრის რესტავრატორების მიერ განხორციელდა.

შესრულებული სამუშაოების შედეგად მოიხსნა ცემენტის ხსნარით ადრე შევსებული ფრაგმენტები, გაფხვიერებული ქვის ზედაპირი კი სპეციალური ხსნარების მეშვეობით კონსერვირდა: ამოივსო ბზარები, განხორციელდა მიკრობზარების კონსოლიდაცია, ჩამოტეხილ ქვებს კი კირხსნარის გამოყენებით რეკონსტრუქცია ჩაუტარდა.

ეკლესიის ინტერიერის დასავლეთისა და სამხრეთის აფსიდის კონქებში არსებული ფასადური წყობიდან ქვების ჩამოცვენის რისკი დაზიანებული სახურავიდან წლების წინ ნადენმა წყალმა შექმნა, რამაც ისინი საფუძვლის ფენას მოაცილა. მათი ძირითად კონსტრუქციაზე ხელახალი ჩაბმა უუანგავი ლითონის ანკერებისა და სათანადო მინარევების გამოყენებით მოხერხდა.

მომავალი წლიდან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ატენის სიონის კედლის მხატვრობის კონსერვაციის სამუშაოებს დაიწყებს, რომელიც სამხატვრო აკადემიის მხატვარ-რესტავრატორების ჯგუფის მიერ, ლონდონის კურტოს უნივერსიტეტის სპეციალისტების კონსულტაციებით განხორციელდება.

ლაშა შენგელია ბერძნული „ნიჭიერის“ მორიგ ეტაპზე გადავიდა

ბერძნული „ნიჭიერის“ ქართველმა მონაწილემ ლაშა შენგელიამ შესარჩევი კონკურსი წარმატებით გაიარა და ჟიურისგან სამი „კი“ დაიმსახურა.

პროექტის მომდევნო ეტაპისთვის ქართველი მონაწილე განსაკუთრებულად მოემზადა და თავისი კიდევ ერთი წარმატებული გამოსვლით ისევ აღაფრთოვანა ჟიური და დამსწრე საზოგადოება.

ლაშამ ურთულესი სპორტული ილეთების შესრულებით დიდი მოწონება დაიმსახურა და ბერძნული „ნიჭიერის“ მომდევნო ეტაპზეც გავიდა.

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. ონორე დე ბალზაკის მოთხრობა; 2. სამხედრო ნაწილის მღვდელი; 3. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი, ცეცხლგამძლე თიხა; 4. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტების ბელგიელი კონსტრუქტორი; 5. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე მე-17 საუკუნის ქართველი მხატვარი; 8. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილება; 12. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული; 13. იტალიური კომედიური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 14. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 16. წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე; 18. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 20. ღვინის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

თარაზულად: 6. ხმის ჩანაწერების არქივი; 7. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 8. მზის სისტემის პლანეტა; 9. ფულის ერთეული ყაზახეთში; 10. ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი სტატია, პუბლიკაცია; 11. მდგომარეობა ჭიდაობაში; 15. ცნობილი ამერიკელი ჯაზმენი; 17. ხიდის საყრდენი ბურჯი; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 21. ზურგის ტვინის ანთება; 22. ყველაზე დაბალი ქალის სასიმღერო ხმა; 23. უღელტეხილი აჭარაში.



შეადგინა
თ.კოპალეიშვილმა

პროგრამა

პარასკევი 1 დეკემბერი

07.30 "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მოგზაური დორა" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00, 01.55** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.15** "სპორტის დაფა" **12.40** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **13.25, 22.00** ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" **14.30** დოკ/ფ "ჩამოთვლილთაგან არც ერთი" **15.30** დოკ/ფ "ძველი საბერძნეთის საგანძური" **16.30** ტ/სერ. "**ფელეტი**" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **19.00 ფეხბურთში** მსოფლიოს **2018** წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრა. **20.30** დოკ/ფ **21.30** "კვირის ინტერვიუ"- ირაკლი აბსანძე **23.00** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **00.00** მხ/ფ "**როგორები ვიყავით**" (ბ.სტრეიზანდი) **02.55** ტ/სერ. "**ელეფანტარული**" **03.55** მხ/ფ "**მომწესრიგებელი**" (დ.აშინგტონი)

06.30, 16.00 სერ. "**ბყუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.40** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ქალაქის გული**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **22.00** ჩვენ ვარსკვლავები ვართ **00.30** მხ/ფ "**ორმხრივი სროლა**" **02.00** მხ/ფ "**რეიდი**" **03.55** მხ/ფ "**წითელი განთიადი**" **05.25** მხ/ფ "**მკვლელების სამეფო**"

06.00, 18.50 სერ. "**შემოდგომის ზღაპარი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**მზიანი დღეები**" **16.55** სერ. "**მორჩილების საკანი**" **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

tv პირველი **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამოენზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დიანა ტრაპაიძის დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00,** მხ/ფ **20.00** პირველები **23.00** ავტორბოლა **23.30** ღალატი

08.00 ან/ფ"ატომი" **09.00, 19.00** სერ. "**ცისფერი სინსლი 6**" **11.00** მხ/ფ "**ბოსკანის ცის ქვეშ**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება-2**" **17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები 5**" **21.00** სერ. "**ლურჯის ელფერი**" **22.00** მხ/ფ "**შერლოკ ჰოლმსი**" **00.30** მხ/ფ "**შერლოკ ჰოლმსი: ჩრდილების თამაში**" **02.45** მხ/ფ "**წყევლა**" **04.45** მხ/ფ "**პარანორმალური მოვლენები**" **06.15** მხ/ფ "**ბოსკანის ცის ქვეშ**"

08.00 ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.20, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.20,** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.45** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე" **21.00** სერ. "**გაქცეულები**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** ღია სტუდია **00.00** მხ/ფ "**ეშმაკი და დენიელ ვებსტერი**" **3.45** ცენზურის გარეშე

06.15 კვირიაკე **07.10** ქრისტიანული ხელოვნება "გერგეტის სამება" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-ოკავანგოს დელტა" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10** საქართველოს ქალაქები "ქუთაისი" **10.25** თბილისის ტაძრები "წმინდა ნიკოლოზის ტაძარი-ნარიყალა" **10.35** ბავშვები მუზეუმში "პატარძეული-მოსწავლეთა მუზეუმი" **11.10** ერთსულოვანი ოჯახი **12.05** მხ/ფ "**ოთარაანთ ქვრივი**" **13.30** ან/ფ "ველიანტი" **15.05** ქართული ან/ფ **15.20** გადაცემა-ოპერა "ტოსკა" I, II. **17.30** დ/ფ "დიმიტრი შევარდნაძე" **18.10** ივერიის ეკლესია "საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა" **1** ნან. **18.25** არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია..."ხონი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ფიროსმანი**" **20.40** ძილი ნებისა "გედის ჭუკი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** დროის ჩანაწერები **21.35** ჩვენი ფონდი **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "გუდარეხი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გზა, რომლითაც ვიარე "კალისტრატე ცინცაძე" **23.45** ღვთის სახლი "დრანდა" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.35** დ/ფ "გზა" **4** ნან. **01.30** მხ/ფ "**ბაში-აჩუკი**"

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფო ზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 დეკემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.7225	ევრო — 3.2262
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6492	100 რუსული რუბლი — 4.6665

ამინდის პროგნოზი 1 დეკემბრისთვის



30 ნოემბრიდან

ჯემალ ჩახავა

ქურდები და არიფები

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

28 ნოემბრიდან

გურამ ყორანაშვილის

ავკარგიანობა გიორგი საკაძისა

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

იუმორი

კახელების ოჯახი სუფრასთან ზის და სადილობს. ამ დროს შვილი დედას ეუბნება:

– დედი, რა არის, რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ ქათმის კისერს ნუ გადმომიღებ!

მიხომ შვილს გდახედა და ეკითხება:

– ბიჭო, აბა, შენ ქათმის კისერი არ გიყვარს?

– არა, მამი.

– არც ინდაურის?

– არა, მამი,

– არც გოჭისა?

– არც გოჭის და არც ცხვარის!

– აბა, ჩემი კისერი რამ შეგაყვარა, შე შობელძაღლო, 25 წელი რომ ზედ მაზიხარ და არ ჩამოსულხარ?!

●●●

მეგრელი ავტობუსში ავიდა, ჩანთა ძირს დადგა და ბილეთი აიღო. რომ მოიხედა, ჩანთა ადგილზე აღარ დახვდა.

– ვინც აიღო ჩემი ჩანთა, დამიბრუნოს, – ხმამაღლა დაიძახა მეგრელმა.

ყურადღებას არავინ აქცევს.

– დამიბრუნეთ ჩანთა, მე თქვენ გეუბნებით, – გაიმეორა მეგრელმა.

ისევ არავინ აქცევს ყურადღებას.

– დამიბრუნეთ ჩანთა, თორემ იმას ვიზამ, რაც ადრე გავაკეთე, – დაიძახა მეგრელმა.

ცოტა ხანში მიიხედა და თავისი ჩანთა ადგილზე დახვდა. აიღო და ჩადის, ამ დროს ერთ-ერთმა მგზავრმა შეაჩერა და ეკითხება:

– ადრე როგორ მოიქეცი?

– არ დამიბრუნეს და სახლში წავედი...

●●●

ერთი მელოტი მეორეს ეუბნება:

– შენ ჩემზე უფრო მელოტი ხარ!

– ვითომ რატომ?

– იმიტომ, რომ ჩემზე დიდი თავი გაქვს!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

23 ნოემბრიდან

ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

ქართული დეტექტივი ტომი 13

პატრიარქის ზაფხული



ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

21 ნოემბრიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი